ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი

წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი — მეთერთმეტე

№ 28 — კვირა, 9 ნოემბერი 1903 წ. — № 28

გაზეთის ფასი: ერთის წლით ტფილისში 7 მანეთი, ნახევარი წლით—3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიში და თვით «კვალის» რედაქციაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты «КВАЛИ».

შინაარსი: „კვალი“ და მისი დღევანდელი მნიშვნელობა, ყვირილელისა.—შინაური მიმოხილვა.—ნეკროლოგი.—მთავრობის განკარგულება.—სხვადასხვა ამბები.—რუსეთი.—უცხოეთის ამბები.—ძიძა, მოთხრობა, ნინო ნაკაშიძისა.—*** ლექსი დ. თომაშვილისა.—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, ა. წულუკიძისა.— ჩვენებური უკულმართობა, მ. მარილაძისა.—განცხადებანი.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

„კვალი“ დღეიდან კვლავ გამოდის და სრული იმედი გვაქვს, რომ მისი გამოცემა აწ აღარ შეფერხდება.

რადგან დროებით შეჩერების გამო ამ **1903** წელს ჩვეულებრივი რიცხვი №№-სა ვერ გამოდის, ამიტომ იმ ხელის მომწერთა დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც წლის ბოლომდე გამოსულ ნომრებზე მეტი ერგებათ თავის შემოტანილ ფულში, დაკლებული რიცხვი №№-სა **1904** წლის ნომრებით შეუსრულდებათ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქარონ ფულის შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ერთ ნომრის შემდეგ გაზეთის გზავნა მოესპობათ.

ახალ ხელის მომწერთათვის წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება ერთ მანეთათ.

რედაქცია იმყოფება რუსის ბაზარში, საეკკლესიო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელაძის სტამბაა.

„კვალი“ და მისი დღევანდელი მნიშვნელობა.

ხანგრძლივ სიჩუმეს შემდეგ ჩვენმა გაზეთმა კვლავ ამოიღო დღეს ხმა და სურს განაგრძოს მკითხველთან ძველი კავშირი. და აი, მის წინ იბადება კითხვა, რომლის მკაფიოთ გარკვევა და გადაწყვეტა აუცილებელია მისთვის უპირველეს ყოველ კითხვათა. ეს კითხვა შეეხება მის საკუთარ დანიშნულებას დღევანდელ ცხოვრებაში.

პრინციპიალურათ „კვალი“ დღესაც იმავ საფუძველზე დგას, როგორც წინათ, და ეს მანამდის ასე იქნება, სანამ თვით ცხოვრებას არ შეეცვლება მისი საფუძველი. მაგრამ ცხოვრება თუ ჯერ ჯერობით ძველ საფუძველზე დგას, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის შეჩერებულია და არ ვითარდება. ყოველ ახალ წამს რაიმე ახალი მოაქვს, მოქმედ ჯგუფთა დამოკიდებულება იცვლება, ზოგი ძლიერდება, ზოგი სუსტდება—ერთი სიტყვით, იბადება ახალი პირობები, და ამისდა მიგვარათ ყველამ, ვინც საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს, უნდა თავისი მოქმედება შესცვალოს და ახლათ დაბადებულ მოთხოვნილებებს შეუფეროს. ჩვენ ის გვსურს ახლა გამოვარკვიოთ, რა განსხვავებაა გუშინდელსა და დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაში? როგორ ემსახურებოდა თავის მთავარ მიზანს „კვალი“ წინათ და როგორ უნდა ემსახუროს დღეს?

გადახედეთ მთელი რუსეთის მწერლობას. ჩვენში და სხვაგან, ქართულ და რუსულ ლიტერატურაში, თქვენ ერთ სურათს დაინახავთ. ყოველგან მწერლობას სძინავს და სიცოცხლის ელფერი დაკარგული აქვს. ეს თქვენთვის ახალი სანახაობა როდი იქნება. ასევე ეძინა მწერლობას ჩვენშიც და რუსეთშიაც მეოთხმოცე წლებში, მაგალითად. მაგრამ აი რა არის ამ მოვლენაში ახალი. მეოთხმოცე წლებში თქვენ შეგეძლოთ გეთქვათ: ლიტერატურა ცხოვრების სარკეა, ცხოვრებას სძინავს და მაშ მწერლობას რა გამოაღვიძებსო. დღეს კი ამას ვერ იტყვით. ვერ იტყვით, რადგან თქვენ თვალ წინ ცხოვრება ღელავს და მისი ძარღვი მძლავრათ მუშაობს. შიგ, ამ ცხოვრების სიღრმეში იბადება ახალი აზრები, ფესვს იდგამს ახალი მისწრაფებანი. და ეს ცხოვრების მოძრაობა, გამოფხიზლება არავისთვის ფარული არ არის, არავისთვის—საიდუმლოებით მოცული. ასეთ ცხოვრებას მძინარე კი არა, მჭექავი ლიტერატურა „შეეფერება, რომელმაც ცხოვრების ხმაურობა თავის ფურცლებზე უნდა გადაიტანოს.

დიახ, ლიტერატურა დღეს აღარ არის ცხოვრების სარკე და იმდენათ ჩამორჩა მას, რამდენათაც არასოდეს არ ჩამორჩენია. ეს ასე არის ჩვენში და მთელ რუსეთში. ამ მოვლენას ჩვენშიაც და რუსეთშიაც ერთი მიზეზი აქვს. გვეტყვიან, ეს თვით მწერლობის ბრალიაო. თუ წინათ, საზოგადოების გამოღვიძების დროს, მესამოცე წლებში, მაგალითად, რუსეთის ლიტერატურამ შესძლო ამ გამოღვიძების გამოხატვა და ისეთ[illegible] ძლიერი ენით დაიწყო ლაპარაკი, ისეთი ჰაბუკური გატა[illegible] გამოიჩინა, რომ მთელი მაშინდელი საზოგადოების აზრ[illegible] „სოვრემენიკს“ ჰყავდა დამორჩილ[illegible] რატომ დღე[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანდელ პრესას არ აქვს იგივ ძალაო. „გარეგანი“ პირობები ლიტერატურისთვის შესამჩნევათ როდი შეცვლილა, მაშასადამე შინაგან სიუძლურით უნდა აიხსნას ეს მისი მიყუჩებაო. ალბათ ახალი თაობა ვერ იჩენს ნიჭს და მომზადებას ცხოვრების შესაფერ ლიტერატურის შესაქმნელათო.

არა მკითხველო, ამით ვერ ავხსნით ჩვენ ამ მოვლენას. რუსეთის დღევანდელ თაობას ნიჭიცა აქვს და გატაცებაც, და ლიტერატურის დაქვეითება სხვა, უფრო ღრმა მიზეზებით აიხსნება. მართალია, დღეს ლიტერატურა დაახლოვებით იმნაირსავე გარეგან პირობებშია, როგორშიაც მესამოცე წლებში იმყოფებოდა. მაგრამ ცხოვრება დღეს ბევრათ წინ არის მაშინდელზე. იმ დროს თუ ცხოვრება ერთი ნაბიჯით წინ იდგა ლიტერატურაზე და ამნაირათ ლიტერატურა სავსებით თუ ვერ ხატავდა, ბანს მაინც აძლევდა მას, დღეს ლიტერატურა იმავ ადგილზე არის დამაგრებული, ცხოვრება კი ჩქარის ნაბიჯით წინ მიდის და ყოველ დღე ჰბადებს ახალ კითხვებს, ახალ მოთხოვნილებებს. განა შეიძლება ასეთ პირობებში შერჩეს მწერლობას იგივ ცხოვრების ელფერი, იგივ ძალა და გატაცება? განა შეალევს ასეთ პირობებში ახალ თაობა ლიტერატურას თავის ძალ-ღონეს? მისი სურვილი ის არის, ცხოვრებას დაუახლოვოეს, მას ემსახუროს, და თუ ლიტერატურით ეს არ შეიძლება, ის სხვა გზას მონახავს...

ასეთი დიდი მანძილი ცხოვრებასა და ლიტერაურას შუა არ ყოფილა არა თუ მესამოცე წლებში, არამედ იმ ახლო წარსულშიაც, როდესაც დღევანდელი თაობა გამოდიოდა ცხოვრების ასპარეზზე. გაიხსენეთ ის დრო. საზოგადოებრივი ცხოვრება მე-80 წლების რეაქციის შემდეგ კვლავ ამოძრავდა; ის ძალა, რომელიც შეუმჩნევლათ იზრდებოდა ახალ ეკონომიურ წყობილების სიღრმეში, შეინძრა და თავის ადგილი მოითხოვა ისტორიულ მსვლელობაში. და აი, მაშინ რუსეთის ლიტერატურა ამ ძალას უკაფავდა გზას, მისი პირველი მერცხალი იყო, რომელიც აუწყებდა ქვეყანას, მოდის ძლევამოსილი რაზმიო. წინანდელი უტოპიური პროგრესისტობა, რომელიც ცხოვრების მსვლელობის უარყოფაზე იყო დამყარებული, რომელიც ამ მსვლელობას თავის სურვილებს და იდეალებს უპირდაპირებდა—უარჰყო ახალ თაობამ და სამაგიეროთ თავისი დროშა გაშალა. ახალ თაობა ამბობდა: შეხედეთ ცხოვრებას, იცანით მისი მსვლელობა და მაშინ მონახავთ სახემძღვანელო აზრსაც და რეალურ ნიადაგსაცო. გაიგეთ, რომ სწორეთ თქვენგან უარყოფილმა ცხოვრებამ შექმნა ისეთი ძალა, რომელიც თვით ამ ცხოვრებას დაარღვევს და სხვა საფუძველზე დაამყარებსო. შეისწავლეთ ეს ძალა, ემსახურეთ ამ ძალასაო,—აი რა ეწერა მაშინ მოწინავე ლიტერატურის დროშას რუსეთში. გაიხსენეთ მაშინდელი ლიტერატურა. განა არა ჩნდა, რომ შიგ ჩქეფავს ცხოვრების ნაკადული? განა ცოტა ენერგია, ცოტა ნიჭი და გაბედულება შეიტანა ახალმა თაობამ მაშინდელ ლიტერატურაში? განა ცოტა ძალა გამოიჩინა მან უტოპიასთან ბრძოლაში?

დრო მიდიოდა, ცხოვრება ვითარდება. ის აზროვნობა, რომელსაც ახალი თაობა არგუმენტებით ებრძოდა, ცხოვრებამ თავის მსვლელობით უარჰყო. და ის ძალა კი, რომელსაც ეს თაობა „გზას“ უკაფავდა, თვით ჩაერია ცხოვრების ბრძოლაში, თვით ამეტყველდა და თვით მიიქცია თავისკენ საერთო ყურადღება. ვისაც სურდა მისი სამსახური, ის ახლა მასთან უნდა ყოფილიყო, მის პროგრამაზე, მის მოთხოვნილებაზე უნდა ელაპარაკნა, ისე მკაფიოთ და გარკვეულათ, როგორც ამას ბრძოლაში ჩარეული „ძალა“ ითხოვდა. ეს ვერ შესძლო ლიტერა[illegible], და ახალთაობის საუკეთესო ნაწილმა სხვაგან გადაი[illegible] [illegible] თავისი ძალ-ღონე.

ჩვენს ცხოვრებაშიაც მეოთხმოცდაათე წლების [illegible] ნახევარში დაახლოვებით იმნაირივე პირობები არ[illegible]. და ლიტერატურასაც იგივ გზა ედვა წინ. [illegible], ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული, [illegible], რადგან ძველი ცხოვრება ირღვეოდა. ახალმა ეკონომიურმა ურთიერთობამ ჩვენშიაც შექმნა ის სოციალური კლასები, რომლებიც ევროპის ცხოვრებას ამოძრავებენ, და აი, ამ კლასთა ინტერესების წინააღმდეგობის პრინციპით უნდა განათებულიყო მთელი ჩვენი ცხოვრება. ეს პრინციპი იყო ახალი, ჯერ ჩვენში არ გაგონილი პრინციპი, და მისი ქადაგება უნდა აეღო მიზნათ მოწინავე მწერლობას. და აი, ეს იტვირთა „კვალმა“. ის ეუბნებოდა საზოგადოებას, ცხოვრების მაჯის ცემა კლასთა ბრძოლაში იხატებაო, და ამ საერთო ბრძოლაში, საერთო შეჯახებაში ერთათ ერთი მუშათა კლასია მუდამ პროგრესიული, მუდამ უმრავლესობის ინტერესებისათვის მებრძოლიო. ეს კლასი ახალმა ცხოვრებამ დაბადა ჩვენში, მაშ შევუწყოთ ხელი ახალ ცხოვრებას და ამ კლასის გაძლიერებას, შეგნებულ რაზმათ გადაქცევასო. და რადგან ყველა, ვისაც ძველი აზროვნობა ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა, შეებრძოლა ამ ახალ პრინციპს, „კვალს“ უნდა დაეცა მათი ავტორიტეტი, უნდა დაეცა მათი გავლენა ხალხზე და საზოგადოებაზე. ეს იყო ,,კვალის‘‘ მთავარი დანიშნულება—განმტკიცება ახალ მოძღვრების, თვით ცხოვრების მსვლელობაზე დამყარებულის, დ უარყოფა ძველის, ძველი ცხოვრებით შექმნილ აზროვნების. და რადგან ამ საქმეში „კვალს“ ძლიერი მოკავშირე ჰყავდა—თვით სინამდვილე, თვით ისტორიული განვითარება,—მაშ შეასრულა თავისი დანიშნულება და შეიტანა საზოგადოებაში ახალი აზრი.

ის, რასაც მაშინ გზის გაკაფვა სჭირდებოდა, დღეს ყველასათვის ცხადი გახდა. დღეს ვინ უარყოფს ახალ ეკონომიურ წყობილების დამკვიდრებას ჩვენში? ან კლასთა არსებობას, მათ ინტერესთა წინააღმდეგობას? ყველაფერი ეს დღეს ფაქტია აშკარათ დასანახავი, რომელსაც ხელს ვერავინ დააფარებს. მაგრამ სწორეთ იმიტომ, რომ ცხოვრებას გარკვეული ხასიათი დაედო და ბრძოლა გამწვავდა, საჭირო გახდა მოწინავე ლიტერატურისათვის კილოს შეცვლა. დღეს მისი მთავარი ძალა იმ პრაქტიკულ კითხვების ახსნას უნდა მოხმარდეს, რომელიც კლასთა შეხლა-შეჯახებაში იბადება. მან უნდა ახსნას გარკვეულათ, ყველასთვის გასაგებათ მოწინავე კლასის კონკრეტიული მოთხოვნილებანი. უნდა ეცადოს, გააძლიეროს ამ კლასში მოქმედების წყურვილი, ნათლათ დაანახოს მახლობელი და შორეული მიზანი, გაამხნევოს ის და მოუპოვოს მას მომხრეები. ლიტერატურამ ამისათვის უნდა ისარგებლოს ყოველ შემთხვევით, რომელსაც კი სინამდვილე იძლევა და თავისუფლათ შეეხოს ყოველ ფაქტს, ცხოვრების გამწვავებით გამოწვეულს. ყველაფერი ეს მან სინათლეზე უნდა გამოიტანოს და ამ მოვლენებს პრინციპის შუქი უნდა მიაფინოს. ცხოვრება ითხოვს, ერთი სიტყვით, რომ მოწინავე ლიტერატურა მოწინავე კლასს მის პრაქტიკულ მოქმედებაში იდეიურ ხელმძღვანელობას უწევდეს. დღევანდელი ლიტერატურა ამას ვერ აასრულებს, და ცხოვრება უმისოთ აკმაყოფილებს ამ თავის მთავარ მოთხოვნილებას.

მკითხველს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,კვალის‘‘ არსებობა სარგებლობას კი არა, ვნებას მოუტანს იმ საქმეს, რომლის სამსახური სურს. ,,კვალი‘‘ დღევანდელ ცხოვრების ყველა პრაქტიკულ კითხვებს, რასაკვირველია, ვერ წამოაყენებს და ვერ გადაწყვეტს თავის ფურცლებზე, ვერ შეეხება ბევრ მნიშვნელოვან მოვლენებს ისე, როგორც უნდა შეეხოს.

მაგრამ იმ ფარგალშიაც კი, რომელშიაც მომწყვდეულია დღეს ,,კვალი'', მას შეუძლია ცხოვრების წინმსვლელობას ხელი შეუწყოს. მას შეუძლია მიაწოდოს ხალხს ცოდნა, ურომლისოთაც თვითცნობიერება მასში ვერ განვითარდება. ისტორიულ და ეკონომიურ კითხვათა გამორკვევა, ხალხისთვის მის მდგომარეობის შესაგნებათ მასალის მიწოდება,—აი რა საგანს მიაქცევს ,,კვალი'' თავის მთავარ ყურადღებას. მეორე მხრით, ,,კვალი'', რასაკვირველია, ეცდება, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაც აღნიშნოს და შეეხოს საზოგადოებრივ ხასიათის ფაქტებს და მოვლენებს. აქ მან, როგორც ნათქვამი გვქონდა, შეიძლება ბევრი რამე ვერ განიხილოს, მაგრამ ყოველთვის, როდესაც კი ხმას ამოიღებს, თავის მსჯელობის ერთათ ერთ საფუძვლათ ის შრომის ინტერესებს იქონიებს, და მკითხველის აზროვნება, შეჩვეული მოვლენათა ამგვარ მასშტაბით გაზომვას და დაფასებას, სხვა, უფრო მწვავ მოვლენებშიც გაატარებს იმავ დედა-აზრს... კიდევ ერთი რამ უნდა შეასრულოს ,,კვალმა''. ის უნდა წინ აღუდგეს მშრომელ ხალხის მოპირდაპირე ჯგუფთა წარმომადგენლებს, მათ ქადაგებას ლიტერატურაში. დღესაც ხშირათ „საერთო" ინტერესების სახით გამოაქვთ ბევრი რამ ისეთი, რაც უმრავლესობის ინტერესებს ძირიანათ ეწინააღმდეგება, და აი, ამ ქადაგების ნამდვილი შინაარსი უნდა გამოამჟღავნოს ,,კვალმა''.

ყველაფერს ამას, ,,კვალი'', რასაკვირველია, წინათაც ასრულებდა. მაგრამ მაშინ მის მოღვაწეობის მთავარი აზრი ის იყო, რომ საზოგადოებისთვის ცხოვრების ახალი მიმართულება ეჩვენებია, და ახალ ისტორიულ ძალაზე მიეთითებია. ახლა ეს გამორკვეულია, და ჩვენ უმთავრესათ ბრძოლაში ჩარეულ ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უნდა ვცდილობდეთ. და, როგორც ვთქვით, ამ თავის დანიშნულების სავსებით შესრულება ,,კვალს'' არ ძალუძს დღევანდელ პირობებში. პრაქტიკულ მოქმედების იდეიური ხელმძღვანელობა მან სხვას უნდა დაუთმოს და თვითონ უფრო ვიწრო ფარგალში იმოქმედოს. მან უნდა უმთავრესი თავის ძალღონე ცოდნის პროპაგანდას მოახმაროს, დღევანდელ პირობებში კი ამ პროპაგანდასთან ერთათ თვით ცნობიერების პროპაგანდაა საჭირო, და ამ უკანასკნელს ,,კვალი'' ვერ დაამყარებს ცხოვრების მთავარ მოვლენათა გარჩევა-დაფასებაზე.

ამნაირათ, წინათ ,,კვალი'' უკეთ აკმაყოფილებდა მაშინდელ ცხოვრების მოთხოვნილებებს, ვიდრე დღეს დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, და ეს იმიტომ, რომ ცხოვრებამ გაასწრო ლიტერატურას და ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, როგორც არასოდეს წინათ არ უვლია. მაშ გაუმარჯოს, მკითხველო, იმ ცხოვრებას, რომელმაც ჩვენს ,,კვალს'' ასე გაასწრო; გაუმარჯოს იმ ძალას, რომელმაც ასე წასწია წინ ცხოვრება!

მაგრამ იმ საქმის გაკეთებაც, რომელიც ,,კვალს'' წინ უდევს, აუცილებლათ საჭიროა, თავის ვიწრო ფარგალშიც ,,კვალი'' ცხოვრების წინ სვლას ემსახურება, და თუ თავის დანიშნულება მან რიგიანათ შეასრულა,—მაშინ ,,კვალსაც'' ვუსურვოთ გამარჯვება, ჩემო მკითხველო.

ყვირილელი.

შინაური მიმოხილვა

დიდი ხანი არ არის, რაც ქალაქმა გახსნა ხორცის დუქანი და შეუდგა ვაჭრობას. სულ ერთი წელიც ძლივსაა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიაც გამოაშკარავდა და გამოქვეყნდა, შეუძლია ქალაქის თვით მართველობას გაუძღვეს და აწარმოვოს ქალაქის მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგები, თუ ვერა.

მაგრამ მან აქ სრული უღონობა და არარაობა გამოიჩინა.—ხორცის დუქანი საკმაო საბუთს იძლევა ამისას. მიზანი ქალაქის ხორცის დუქნის დაარსებისა იყო: კარგი, სალი და იაფი ხორცის მიწოდება მხმარებლისთვის და მით კერძო ყასბების თავგასულობის ალაგმვა, მაგრამ ქალაქის დუქანმა იმედი ვერ გაამართლა; პირ იქით, ის თავის ღირსებით კერძო საყასბოსაც უკან ჩამორჩა. ხორცი ამ ბოლო დროს ქალაქის დუქანში უფრო ძვირათ იყიდება, ვიდრე კერძო საყასბოებში; ღირსებით ქალაქის დუქანში ხორცი იგივეა, რაიც კერძო დუქნებში; აქაც ხშირათ ერთ ნაჭერს დამპალს შემოგაპარებენ, როგორც იქ. მიუხედავათ იმისა კერძო ყასბები მდიდრდებიან, ქონებას იძენენ, ქალაქმა კი მოგების ნაცვლათ 31 ათასი მანეთი ზარალი ნახა. ამდენი ზარალი ვის მოსწრებია და ვის გაუგონია? რაში ნახა ეს ზარალი: საკლავი დაკლა და ვერ გაასაღა? საკლავს ძვირათ ჰყიდულობდა? დუქანი ძვირათ იქირავა? მოსამსახურეებს ბევრს აძლევდა, თუ რა ამბავია? არც ერთი ამ მიზეზთაგანი საპატიოთ არ ჩაითვლება. პირ იქით, საზოგადოების სრული სიმპატია ქალაქის დუქნებისაკენ იყო მიპყრობილი, ყველა ,,საზოგადო დუქანს'' გაიძახოდა, ყველა იქითკენ მიეშურებოდა. მაშ რა მიზეზია ამდენი ზარალი? მიზეზი ადვილი ასახსნელია, მიზეზი ,,რა მენაღვლებაა''. მართლა და რა ენაღვლებათ ქალაქის მამებს ზარალი უჩვენონ საზოგადოებას. ზარალიც და მოგებაც—ეს მათ მოქმეებაზეა დამოკიდებული, და რადგანაც მათი სურვილი ყოველთვის თავის საკუთარ კეთილ დღეობისაკენ არის გადახრილი, ამისთვის ისინიც თავის სარგებლობის მიხედვით მოღვაწეობენ. ქალაქის ბედ-იღბალი მუჭა პლუტოკრატების ჯგუფს აქვს ხელში ჩაგდებული. ქალაქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა გადასახადებს თუ იხდის, თორემ ქალაქის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას არ ღებულობს. ცენზის სიდიდე მას ნებას არ აძლევს თავის თავის გამგე-პატრონი თითონ გახდეს. მან მხოლოთ უნდა ქალაქს სიმდიდრე მატოს და მატოს, ქალაქის კასა გაავსოს, დახარჯვას მას არავინ კითხავს, როგორც უნდა ისე დახარჯავენ. თავის თავს თითონ ირჩევენ და პასუხის მგებელიც თავის თავის წინაშე არიან და არა იმის, რომლის ოფლით და სისხლით შექმნილა ამოდენა სიმდიდრე.

ხორცის დუქანმა ამდენი იზარალა ქალაქის მამების შეწევნით; სჩანს თფილისს არ შესძლებია თითონ გაუძღვეს თავის მეურნეობას—მის ხელში იყოს ქალაქის განათება, აბანო, თეატრი, თავშესაფარი, წყალი პურის ცხობა და სხვ. ის ყველგან იზარალებს, მაშინ, როცა ყველაფერი ეს მუნიციპალიტეტების ხელშია დასავლეთ ევროპაში. იქ კიდეც უძღვებიან საქმეს და კიდევაც მოსაგები აქვთ. ეს იმისთვის რომ იქ ქალაქის თვითმართველობებში ღარიბი კლასიც ღებულობს მონაწილეობას, მთელი ქალაქის საქმეები მოქალაქეთა უმრავლესობაზეა დამოკიდებული. იქ პასუხი უნდა აგო არა შენი თავის, არამედ საზოგადოების, უმრავლესობის წინაშე და ვაი შენ ბრალი, ერთი შაურიც რა არის, თუ გაგიფლანგავს. და ეს ზარალი, ეს, ,,რამენაღვლება'' ჩვენებური ქალაქის თვით მართველობებში მანამდი იქნება, სანამ ძირიან-ფესვიანათ არ შეიცვლება თითონ ქალაქის დებულება, რომელიც უსპობს ღარიბ კლასს ქალაქის მართვა-გამგეობას წინ გაუძღვეს და უმთავრესი კონტროლი მისგან მომდინარეობდეს.

* *

თუ რა გვარ საცოდავ მდგომარეობაში ლაფავს სულს დღევანდელი ჩვენი ქალაქის თვით-მართველობები, ამის მაგალითს ბათუმი წარმოადგენს. ბათუმის ქალაქის გამგეობას იმის უთ-

ლებაც კი არ ჰქონია, რაიც თვითეულ მოქალაქეს აქვს მინიჭებული რუსეთში—მოიწვიოს რომელი ექიმიც უნდა. გამგეობამ ახალი ბეითალი ამოირჩია ძველის ნაცვლათ და გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლათ, მაგრამ გუბერნატორმა არ ინება მისი დამტკიცება...

ბათომი თუ სკოცხლობს და სული უდგია, ისევ ნავთის ქარხნებით. ქარხნებს ხომ მუშებით უდგია სული. და რას აკეთებს ქალაქის გამგეობა მათთვის? იმას რომ მუშათა საცხოვრებელი რაიონები—ბარცხანა და გოროდაკი—აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება, აქ არც გზებია ხეირიანი, არც განათება. აბა რიგიან საცხოვრებელ სახლებს ვინღა ჩივა! უბრალო ღია წერილის ყიდვა რომ დასჭირდეს, ექვსი ვერსი გზა უნდა გაიაროს მუშამ: არც ფოსტა, არც ტელეგრაფი მახლობლათ. საჭიროა ყველა ამას ქალაქმა მიაქციოს ყურადღება. თუ იმას იტყვის გამგეობა, რომ ბარცხანა და გოროდოკი—ქალაქს არ ეკუთვნის და რისთვის უნდა ვიზრუნოთო, შეეძლო მას ეს სამრეწველო და სამოსახლო რაიონები ბათომზე მიეწერა.. მაგრამ ეს ხომ ხარჯებს მოითხოვდა და მდიდართა გასართობი კურზალი ხომ აუგებელი დარჩებოდა. ასეა: ღარიბ კლასს აუცილებელი მოთხოვნილებანი ვერ დაუკმაყოფილებია უსახსრობის გამო მაშინ, როცა მდიდარმა არ იცის რაში დახარჯოს თავის სიმდიდრე.

* *

ჩვენ ქართულ თეატრზე შეიძლებოდა ორი ღერი სიტყვა ეთქვა კაცს, მაგრამ რა: თუ დაიწუნე და აძაგე წარმოდგენები—„ბავშვის ტიტინს ყურადღებას ნუ მივაქცევთო“, იტყვიან, არა და ბრაზით გევსება გული დღევანდელ გამგეობის უმოქმედობის გამო. მაგრამ გამგეობა იმდენათ არ არის დასაძრახისი, რამდენათ თითონ დრამატიული საზოგადოება, რომელიც ირჩევს გამგეობის წევრებს და აბარებს მათ თეატრის ბედ-იღბალს. ჩვენი ქართველი საზოგადოება სხვა-და-სხვა ჯგუფებისაგან შესდგება, რომლებიც სხვა-და-სხვა ნაირათ აზროვნობენ, სხვა-და-სხვა გვარათ ფიქრობენ, და ეს აზრთა სხვა-და-სხვაობა იწვევს ან დაწუნებას, ან ძაგებას დღევანდელ ჩვენი რეპერტუარისას. ერთ ჯგუფს ქართულს გარდა არაფერი არა სწამს, ყველაფერს ქართულს ის შესტრფის, მას უნდა თეატრი თავის გემოზე მოაწყოს და დაინახოს იქ ის, რის დანახვაც მას სიამოვნებას მოგვრის და „ოხ მშვენიერო წარსულო!“ ამოიოხრებს. ის წარსულით ცხოვრობს, იმით ნუგეშობს, იმის მოახლოებას ცდილობს, ის ამით ვითომდა პატრიოტობს და უნდა თეატრიც გააპატრიოტოს. მეორე ჯგუფს სწამს, რომ სცენა, თეატრი რომელიმე ერის კუთვნილება არ არის, ის მთელი კაცობრიობის ჭკუა-გონების ნაყოფია. როგორც არ არსებობს ქართული, რუსული, ფრანგული, ნემეცური მეცნიერება, ისე არც ქართული თეატრი უნდა არსებობდეს, არც რუსული და ფრანგული, მაგრამ ქართველ პატრიოტებს... ისინი ქართველებია და ყველაფერი ქართული უნდათ.

* *

არ არს თეატრი გარდა ქართულისა და ისტორიულ პიესებია მისი გამომხატველიაო,—გაჭკივიან პატრიოტები. დრამატიულ საზოგადოების უმრავლესობა პირველი ჯგუფისაგან შესდგება, რომელიც ირჩევს ისეთ გამგეობას, რომელიც საზოგადოების სულიერს და ესტეტიურ მოთხოვნილებას სავსებით დაკმაყოფილებს. და გამგეობაც არდგენს ისეთ რეპერტუარს, რომელიც მისი ამომრჩეველთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. მაგრამ საბედნიეროთ ქართული დრამატიული საზოგადოება მთელს ქართველობას არ წარმოადგენს. არის ნაწილი და ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც „სამშობლოს“ და ქართული ენის ყვირილი. მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ის ამ იდეალით სცოცხლობს, ამით სიზრდოობს, ამით იმედოვნებს. აწმყო მას გველივით ეზიზღება, წარსული ჭირივით ეჯავრება. ის იცქირება ბრწყინვალე მომავალისაკენ, სადაც ისპობა ყოველგვარი უკანონობა და ძალმომრეობა, სადაც დაჩაგვრას და გაყვლეფას ადგილი არ ექნება. და თეატრშიაც უნდა მას ყველაფერი ეს დაინახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირველათ დაესწრება თქვენ წარმოდგენებს, მაგრამ როცა დაინახავს „შით არაფერი ყრია“, უკან გაბრუნდება და დაცინვით იტყვის: მასხრობაა. და არც იქნება ის ამაში დანაშაული.

* *

გურიაში წელს დიდი მოუსავლობაა: სიმინდი ძალიან ნაკლებია და ღვინო ხომ სულ არა. ძველ სიმინდს ჰეპელა გაუჩნდა და ლამის სათესლეც გააწყვოს. ჰეპელა სიმინდის მარცვალში ჩნდება ჯერ ჭიათ, რასაკვირველია, და მერე ფრთებს ისხამს და ჰაიდა, მიფრინავს. გურულები იკვებებიან ამ ჰეპელიანი ჭადით. მავნებელია ჯანმრთელობისათვის, თუ არა, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება თავსაც არ იწუხებს თურმე. აგრონომებმაც წაიყურისძირეს და თითსაც არ ანძრევენ. რისთვის არ შეებრძოლება საზოგადოება ამ საშიშარ სტიქიონს, რომელიც ამდენს ზარალს აძლევს სოფლის მეურნეს. იქნება იმისთვის, რომ ყველაფერი ეს „წყეულ გურიაში“ ხდება და სეირს უყურებენ? არ ვიცი რა მიზეზია, ხოლო ის კი ვიცი და მახსოვს, თუ როგორ დადიოდენ გურიაში ინსტრუქტორები ფილოქსერის მოსასპობლათ. ხოლო დღეს, როცა ხალხის უპირველეს საჩოს—სიმინდს—გაუჩნდა ჭირი, მათი ჭაჭანიც არსადაა.

ერთი ოჯახის კაცი იწერება ბასილეთიდან: „ნამეტარ გლახა მდგომარეობაში ვართ ამ ბოლო დროს სოფლელები ჩავარდნილი. მოთხოვნილება და ხარჯები მუდამ დღე იზრდება, შემოსავალი კი მუდამ დღე კლებულობს. ჩვენ არაყის ხდა ვიცოდით ჭაჭიდან. წინეთ აქციზი დიდი იყო, მარა შრომის ფასი მაინც გვჩებოდა. დღეს კი აქციზი გაადიდეს, ასე რომ, ჩვენი შრომაც რომ არ ვიანგარიშოთ, სხვა ხარჯებსაც არ ფარავს. ბორჩიკი ყოველ დღე კარზე მყავს მომდგარი: აი ღვდლისო, აი ხელმწიფისო. უკანასკნელი ტაშტი და კარდალი წაიღო. მეტის-მეტათ გამიჭირდა გაძლება. ვითამ რას მიზამენ, ჭურში რომ ჭაჭა მაქ იმისგან არაყი გამოვხადო უპატენტოთ და მით ათასგვარი მოთხოვნილება სანახევროთ მაინც დავაკმაყოფილო, ი კარდალე და ტაშტი, მაინც დევიხსნა. ვიცი დამრჯიან, მარა სხვა გზა რომ არაა?“ რა პასუხი უნდა გასცე ამ შემთხვევაში ამ წერილის მომწერს? ისევ ის რომ დავარიგოთ: ნუ გამოხდი თორემ დაგჯიანო. ეს ხომ თითონ იცის, შენ უნდა უთხრა რამე ახალი, უნდა უჩვენო გამოსასვლელი გზა და შენ კი რას ეუბნები? ოჯახიდან მიაქვთ ნოხი, ფარდაგი, თუნგი, კარდალა, სტოლი, სკამი და ყველაფერი, რასაც კი ფასი აქვს, მიაქვთ დრამის ფულის, ფოსტის ფულის ნაცვლათ. ეს მოვლენა—ხალხის ასეთი გალატაკება—არავისთვის ხელსაყრელი არაა. საშუალება უნდა გამოინახოს რამე.

† ნეკროლოგი

ჩვენ სამწერლო ასპარეზზე მომუშავეთა რიცხვს მოაკლდა კიდევ ერთი მუშაკი—16 ოქტომბერს მოულოდნელათ წვეთის დაცემით გარდაიცვალა დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი). განსვენებული გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე 1886 წელს ⁄ მას აქეთ მუდამ მონაწილეობდა ქართულ-ეურნალ-გაზეთებში. მაჩხანელი ეკუთვნის მწერალთა იმ ჯგუფს, რომელთაც „ტე-

ტიათა მოტრფიალე“ ეწოდება; ის შესტრფოდა სოფელს, შესცქეროდა მის დაბეჩავებულ ცხოვრებას და როგორც უტოპისტი კოოპერატიულ დაწესებულების შემოღებით ცდილობდა ხალხის ჩარჩბაცაცების ხელიდან დახსნას, გალატაკებისაგან გადარჩენას. მან კიდევაც დააარსა „დეპო“ მაჩხაანში, მაგრამ ასეთმა დაწესებულებამ სოფლათ ისეთი ნაყოფი ვერ მოიტანა, როგორც მას ეგონა. მის ნაწერებში სხვაზე უკეთესია ,,ძმური სიტყვა''. აქვს მას აგრეთვე რამდენიმე სურათები სოფლის ცხოვრებიდან, რომლებშიაც აწერილი ჰყავს სოფლის მოხელეთა ჩარჩ-ბაცაცათა და სხვ. აულაგმავათ ნავარდობა სოფელში და მათგან გლეხის გალატაკება. მისი გვამის დაკრძალვა მოხდა 19 ოქტომბერს.

მთავრობის განკარგულება

უმაღლესად დამტკიცებული 12 ივნისს 1903 წ. მინისტრთა კომიტეტის აზრი ამის შესახებ, რომ რუსეთის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება მთავრობის დაწესებულებათა გამგეობას ჩაბარდეს და ზემოხსენებულ ეკლესიის ამ ქონებისა და თანხების შესახებ, რომელითაც ინახებოდა სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო სასწავლებელნი და რომელნიც საერო განათლების სამინისტროს გამგეობაში უნდა გადაიცეს.

ხელმწიფე იმპერატორმა მინისტრთა კომიტეტის აზრის თანხმად 12 ივნისს 1903 წ. უმაღლესად ბრძანება ინება:

1) სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიი ქონება სათანადო სამინისტროთა უწყებასა და გამგეობას გადაეცეს შემდეგის განწესების ძალით:

1) ყველა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებს, მონასტერთ, სასულიერო დაწესებულებასა და სასულიერო სასწავლებელთ, გარდა ქვემორე ჩამოთვლილისა (მუხლი 2 შენიშვნითურთ), ჩამოერთოს დამტკიცებულის წესით, სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო წოდების და დაწესებულებათა მართველობას და გადაეცეს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას, ხოლო ხსენებულ დაწესებულებათა თანხები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობას; ამასთანავე დაცულ უნდა იქნას სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის საკუთრების უფლება ამ ქონებისა და თანხების შესახებ.

2) მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას უნდა გადაეცეს შემდეგი ქონება სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიისა:

ა) მიწები ნაშენი და უშენი, რა გვარისა და სახელისაც უნდა იყოს, აგრეთვე ცალკე ტყეები, საძოვარი, სათიბი და თევზის საჭერი ადგილები, წისქვილები და სხვ., არ გადაეცემის მხოლოდ ის ადგილები, რომელზედაც აგებულია ეკლესიები, მონასტრები, სალოცავები და სხვა, აგრეთვე ის ადგილები, რომელზედაც აგებულია საეპისკოპოსო სახლები და შენობანი სასულიერო დაწესებულებისა, ქალაქისა და სოფლის სამრევლო სამღვდელოებისა და სასულიერო სასწავლებლებისა; ადგილები ეკლესიებისა და სასაფლაოებისა გალავანში შეზღუდულნი და დასასრულ, სამღვდელოების ხელთ მყოფი სამოსახლო ადგილები, რომელნიც უჭირავთ ბაღებსა, ბოსტნებს, ხნულებს და სხვა, ზომით არა უმეტეს სამიმის დესეტინისა ყოველ სამრევლო ეკლესიასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები სხვებზედ არ გადაუციათ შემოსავლის გულისთვის, და

ბ) გადაიცემის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის, სამღვდელოების და სასულიერო დაწესებულების სახლები და მენობები, რომელიც საჭირო არ არის თვით სამღვდელოებისა ცხოვრებლათ და საოჯახოდ—და ხსენებულ დაწესებულებისა მოსათავსებლათ.

შენიშვნა: ეს წესი არ შეეხება პეტერბურგისა და მოსკოვის სომხის ეკლესიის უძრავ ქონებასა და თანხებს.

3) ზემოხსენებულ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს აგრეთვე ის ქონება და თანხა, რომელსა შემდეგში შემოსწირავენ ან უანდერძებენ აღნიშნულ დაწესებულებათ.

4) შემოსავალს ზემოხსენებულ ქონებიდან და თანხებს განაგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო რჯულთა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტი, რომელსაც მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა გარდასცეს ანგარიში და შემოსავალი მის გამგეობაში მყოფ ქონებისა. ამ შემოსავლიდან გამოკლებული უნდა იყოს ყველა გარდასახადი, რომელიც გაწერილი იქნება ამ ქონებასა და ვალდებულებაზედ; აგრეთვე გამოკლებული უნდა იყოს ქვემორე ხსენებული ხარჯიც.

(შემდეგი იქნება),

სხვადასხვა ამბები

შესდგა აქციონერული საზოგადოება ხე-ტყის დასამუშავებლათ ლენქორანის მაზრაში. საზოგადოებამ ავსტრიიდან ექვსასი მუშა დაიბარა. იქ, სადაც ხე-ტყის დამუშავებას დაიწყებენ, ფიქრობენ ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანას.

ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ სამაზრო პოლიცია ახლავე, მოსავლის მოკრეფისათანავე, შეუდგეს სოფლათ სხვადასხვა გადასახადების შეკრებას, რადგან მერე ძლიერ გაძნელდება მცხოვრებთაგან ფულის აღებაო.

ამასწინად ტფილისის მაზრის უფროსმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ქალაქის მიწებზე დარჩენილი სახაზინო გარდასახადი 1612 მან. გამგეობამ პასუხი მისცა, რადგან არ ვიცოდით თუ ქალაქის რომელ მიწებზე იყო გარდასახადი დარჩეილი და ხარჯთ-აღრიცხვაში არ შეგვიტანია, ამიტომ მხოლოთ მომავალ წელს შეგვიძლიან მისი ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანა და ხაზინასაც მაშინ წარვუდგენთ ფულსო.

როგორც ანგარიშიდან სჩანს თფილისის პირველ ღამის თავშესაფარში ოკტომბრის განმავლობაში ყოფილა სულ 1051 სული, ამათში 935 მამაკაცი 116 ქალი ეროვნების მიხედვით ყოფილან რუსი 404 მამაკაცი და 82 დედაკაცი, სომეხი 351 მამაკაცი, ქართველი 23 მამაკაცი და 31 დედაკაცი. თათარი 33, პოლონელი 17.

დღეს, 9 ნოემბერს მოსკოვში ,,კეთილშობილთა კლუბის დარბაზში'' გაიმართება ქართული საღამო თავად სუმბათაშვილის მეთაურობით.

---

1 ნოემბერს ქ. ქუთაისში სამოსამართლო პალატის სესსიამ განიხილა ქუთაისის პოლიცმეისტერის ლისოვსკის საქმე, რომელსაც თავის უფლებების ვადაჭარბება ბრალდებოდა. სა-

სამართლომ დამნაშავეთ იცნო ლისოვსკი და მიუსაჯა ორი კვირით სამხედრო ჰაუპტვახტში დაპატიმრება.

ჩვენ მივიღეთ ორი ახალი წიგნი: 1), ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფასი 1 მან. 2) ისტორია ქართულ გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა, ზ. ჭიჭინაძისა, გადმობეჭდილი აკაკის „კრებულიდან", ფასი 20 კაპ.

რ უ ს ე თ ი

რეფორმები ადგილობრივ მართვა-გამგეობაში.—გუბერნატორის უფლებები.—სამაზრო ერობების წარმომადგენელთა კრებები.—ცენზის შემცირება.—ქალების საარჩევნო უფლება.

უკანასკნელი წლები ფრიად შესანიშნავი და ღირს მნიშვნელოვანი წლებია რუსეთის აღორძინების ისტორიაში. რუსეთი მობერებული, ხავს მოკიდებული და უძლური ეცემა და უკან მიჩანჩალებს. სამაგიეროთ, რუსეთი ახალი, ძლიერი და მედგარი მდევის ნაბიჯით მიეშურება წინ, წინ, სინათლისაკენ. პირველი თავის სიკვდილს თავის ისტორიულ მსვლელობაში თან ატარებს. მეორე კი სიცოცხლის, გამშვენიერების და განახლების წინამორბედია. და ამ გვარათ, რუსეთი რეაქციონური და ბიუროკრატიული დაუპირდაპირდა რუსეთს პროგრესიულს და ასტყდა მათ შორის ბრძოლა. ერთი იცავს არსებულს და ისტორიულათ განმტკიცებულს. ამასაც არ ჯერდება: ცდილობს ისტორიული ბორბალი უკუღმა დაატრიალოს და მოსალოდნელი განსაცდელი თავიდან აიცდინოს. მეორეს კი ვერ აკმაყოფილებს ვერც აწმყო, არსებული, ® ვერც წარსულში ხედავს ხსნას. ის მომავლისაკენ იცქირება და იქ ეძიებს ნავთსაყუდარს. და ამ მოვლენამ—ახალის და ძველის დაპირდაპირებამ—დააფიქრა საზოგადოება და შეუდგენ საშუალების გამოძებნას, თუ როგორ ეშველოს ამდენ აწეწილ-დაწეწილ საქმეებს, რომ წვალიც შეიწვას და შამფურს კი არა ევნოს-რა.

ხალხი, მშრომელი და გამრჯე ხალხი—ეს ბურჯი და ქვა-კუთხედი სახელმწიფოს ძლიერების და კეთილ-დღეობის,—მეტის-მეტ გაჭირებაში ჩავარდა. მას არ შეუძლია გადასახადები იხადოს ისე, როგორც იხდიდა წინეთ. გადიდდა ნედოიმკები, იკლო ხალხის შემოსავალმა, და ამავე დროს საშინელი სისწრაფით გაძლიერდა მისი სულიერი, გონებრივი და კულტურული მოთხოვნილებანი.

მან თვალი გაახილა, შეიძრა, გაექან-გამოექანა და იცნო თავის ნამდვილი მტერ-მოყვარე. მიხვდა ვინ არის იგი, რა იყო და რა უნდა გახდეს მომავალში, მან შეიგნო თავის გაძაღლებულ მდგომარეობის მიზეზები და შეუდგა ჩინეთის კედლების დარღვევას. თქვენ თუ არ მომაქცევთ ყურადღებას მე თვითონ მივიქცევ თქვენ ყურადღებას და წინ წამოაყენა—ან „ჰო" და ან „არა". გლეხების და მუშების არეულობამ შარშან და წელს მიიქცია მართლაც მთავრობის და საზოგადოების ყურადღება. ყველა მიხვდა, რომ ანორმალურ მოვლენის მიზეზები საპატიო და ყურადღების მისაქცევი. ყველამ აღიარა: ხალხს მეტის-მეტათ გაუჭირდა და რა ქნასო. რუსეთის ასე თუ ისე ლიბერალური პრესა პიროვნების ინიციატივის გაფართოებას თვლის უებარ წამლათ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. მეტი თავისუფლება საზოგადოებრივ მოქმედებაში და ნაკლები აპეკა,—აი მოწინავე ოფიციალური მწერლობის სურვილი და იმედები. სულ წინაალმდეგს გაჰკივის რეაქციონური პრესა. საზოგადოების უფლებების გაფართოება ყოვლათ შეუძლებელია, ყოველ-გვარი არეულობის და ამბოხების მიზეზი თავისუფლებაა. მაშ ძირიან-ფესვიანათ აღმოიფხვრას იგი საზოგადოებრივ ფუნქციებიდან და ყველაფერი პოლიციურ თვითნებობას გადაეცესო [illegible] რეაქციონერები, ასე ბჭობენ ლიბერალები. [illegible] ფიქრი და ბჭობა უფრო გამწვავდა, როცა დღეს ადგილობრივ მართვა-გამგეობაში განზრახულია რეფორმების შემოხება. მაგრამ რეფორმებიც არის და რეფორმებიც. რეფორმა იქნება როცა მაზრის უფროსი დამოუკიდებელი იქნება თავის მაზრაში, გუბერნატორი—თავის გუბერნიაში და ერობა—თავის მოქმედებაში. და რეფორმა ქვია იმასაც, როცა მაზრის უფროსის და გუბერნატორის უფლებები შეზღუდული იქნება და შევიწროებული.

ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია—აი რა აკერია დღეს საზოგადოებას პირზე. რას ნიშნავს ან ერთი, ან მეორე? პირველი ნიშნავს იმას რომ ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტა ცენტრზე, ან პეტერბურგზე იქნება დამოკიდებული. ეს ასეც არის დღეს. გუბერნიის უმთავრესი კითხვების გადაწყვეტის ნება გუბერნატორს არ აქვს, მან სამინისტროს უნდა აცნობოს ყველაფერი. ცენტრალიზაციის დროს სულ უბრალო საქმის დაბოლოებასაც საზღვარი არ აქვს. აქ „კანცელიარიშჩინას" ყველაფერი შთაუნთქავს, შთაუნთქავს თვით საქმეც კი დეცენტრალიზაციის დროს ყველაფერი გუბერნატორზეა დამოკიდებული. აქ საქმის დაგვირგვინებას იმდენი დრო არ უნდა, მაგრამ რა: გუბერნატორი, ვინ იცის, როგორ მოიხმარს თავის დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელი ყველაფერ კარგის გაკეთებაში, დამოუკიდებელი იქნება, აგრეთვე ყოველ გვარ სიცუდის ჩადენაშიაც. რეაქციონერები დეცენტრალიზაციას გუნდრუკს უკმევენ: რა საჭიროა რომელიმე სოფლის გლეხების აჯანყება სამინისტროს ვაცნობოთ, თითონ გუბერნატორმა უნდა დასაჯოს და გადაასახლოს დამნაშავენიო. ლიბერალებს კი უნდათ გუბერნატორის უფლებები შეზღუდული იქნეს. ეს ხომ ბიუროკრატიული რეჟიმის და კანცელარიაში ჩინის უფრო განმტკიცებაა და გამაგრება, რასაც სიტყვით ასე ეწინააღმდეგება ლიბერალური საზოგადოება? და ეს თავის თავის წინააღმდეგობა თან დაყოლილი თვისებაა ყველა იმის, ვინც ორჭოფ შეხედულებას ვერ გასცილებია, ვინც ზერელე უყურებს საქმეს და არ ეძიებს ძირითად მიზეზებს ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენისას. დღევანდელ არსებულ პირობებში ჩვენ მუდამ მტერი უნდა ვიყოთ როგორც ამ გვარ ცენტრალიზაციის, ისე დეცენტრალიზაციისაც, ვინაიდგან არც ერთი და არც მეორე საზოგადოების კონტროლს არ ექვემდებარება. უფლებების გაფართოება თუ შეზღუდვა თითონ საზოგადოებას უნდა ეკითხებოდეს და არა სხვა ვინმეს.

* *

ზემცები ჩივიან, რომ ერობის უფლებები მეტათ შეზღუდულია და საჭიროა მათი გაფართოებაო. მაგრამ ერობას თავისუფლება არასოდეს არ ჰქონია და თუ არ ქონდა, რა უნდა შეზღუდულიყო. ზემცები შეტრფიან მესამოცე წლების საერობო დებულების შემოღებას და ცენზის შემცირებას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მესამოცე წლების საერობო დებულებანი პრინციპიალურათ არ განსხვავდებიან არსებულ დებულებათაგან, მაშინაც ერობის თვით მართველობა ისეთივე ფიქტიური იყო, როგორც დღეს, მაშინაც ერობის ყოველგვარი ინიციატივა მთავრობას უნდა მოეწონებია და მასვე უნდა დაემტკიცებია. და დღეს, როცა თხოულობთ რომ საზოგადოებას სრული ინიციატივა მიენიჭოს, იმავე დროს რაღას ებღაუჭებით 64 წლის ვადა გასულ კანონებს. სამაზრო საერობო კრებებმა ცენზის შემცირება მოითხოვეს და დაადგინეს: ქალებს მიეცეს არჩევნების უფლება საქმეების გადაწყვეტაში. ლიბერალურმა პრესამ ცენზის შემცირება დიდ ამბათ ჩასთვალა. ცენზის შემცირება საქმეს მაინც ვერ შველის. 1000 დესიატინიანი ცენზი რომ ხუთასზე ჩამოიყვანონ, ამით არსებითი ცვლილება არაფე-

რი ხდება ერის გასაძლიერებლათ და გასაბედნიერებლათ. ერის დიდ უმრავლესობას, ცხრა მეათედს მაინც არა გააჩნია რა. მშრომელ ხალხს მაინც არავითარი უფლება არ ექნება ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღოს. და ტყუილია, ხალხის სასარგებლოთ ვინმემ რამე გააკეთოს ამავე ხალხის დაუკითხავათ.

უცხოეთის ამბები

ეროვნული კითხვა უნგრეთის პარლამენტში.—სოციალ-დემოკრატების მანიფესტაციები.

არსად ეროვნული კითხვა არ არის ისე გამწვავებული, არსად იმდენ ალიაქოთს და დავიდარაბას არ იწვევს ის, როგორც ავსტრო-უნგრეთში, რომელიც სხვა-და-სხვა ერებისაგან შესდგება და თვითეული ამ ერთაგანი ერთი მეორეს ძლიერებით არ ჩამოუვარდებიან. ნემცები, მადიარები, ჩეხები, პოლონელები და სხვა სლავიანთა ტომები თითქმის ერთი მეორის თანასწორ ძალას წარმოადგენენ და ყველა ეს ერები შეერთებული არიან ერთ სახელმწიფოთ ავსტრიის გეგემონიის ქვეშ, მისი იმპერატორის გამგებლობაში იმყოფებიან. ამიტომ აქ მუდამ ხედავთ ნაციონალურ ბრძოლას, ერთა შორის განხეთქილებას. ეს განხეთქილება განსაკუთრებით აშკარათ გამოჩნდება მაშინ, როცა ის ისეთ კრიზისის მომენტში ჩადგება, როგორშიაც მადიართა ეროვნული კითხვა ჩადგა ამ უკანასკნელ თვეებში, როცა პარლამენტის კრიზისმა უმაღლეს წერტილამდის მიაღწია და უნგრეთის სრულ განცალკევებას უქადდა. ვის სრულ, უკანტროლო გამგებლობაში უნდა იყოს უნგრეთის ჯარი, რომელი ენა უნდა იხმარებოდეს ამ ჯარში, აი ის კითხვები, რომლის გარშემო ტრიალებდა მთელი ეს კრიზისი. უნგრეთის პარლამენტი, როგორც ქვევითაც დავინახავთ, თითქმის სრულიად ბურჟუაზიული პარტიათაგან შესდგება, ხალხის წარმომადგენელთა რიცხვი იქ სრულიად უმნიშვნელოა. ასე რომ მთელი ეს ორონტრიალი ბურჟუაზიულ პარტიათა შორის არის ატეხილი. აქ ებრძვის ერთი მეორეს ორი მიმართულება: ცენტრალისტური, რომელსაც ავსტრიის იმპერატორი იცავს, და მისწრაფება დამოუკიდებელ არსებობისადმი, რომელსაც კოშუტები და სხვა ოპოზიციონური ჯგუფები ეტრფიან. პირველი იცავს უკვე დაჭერილ პოზიციას, თავის ბატონობას, მეორენი ცდილობენ მათი ბატონობა შეზღუდონ და თვითონ გაბატონდენ, აქ იბრძვის ორი ბურჟუაზიული პარტია და თვითეულს სურს შეუზღუდველათ, უკანტროლოთ თვითონ განაგებდეს ხალხის ბედ-იღბალს.

ამის ერთი უმთავრესი საშვალებათაგნი კი ჯარია. ვისაც ჯარი ემორჩილება, გაბატონებულიც ის არის თანამედროვე საზოგადოებაში; ის იმითი იმორჩილებს თავის მოწინააღმდეგე კლასებს, მითივე იგერებს ბატონობაში მოცილე მეტოქეებს. ამიტომ პირველი შეხედვით უმნიშვნელო კითხვა ჯარის დამოკიდებულობას და მის მოსახმარ ენის შესახებ, მეტათ მნიშვნელოვან კითხვათ იქცევა. ის ბურჟუაზიისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვაა, რადგან იგი ან უნდა ბატონობდეს, ან და საბოლოოთ დასუსტდეს, დაჩიავდეს და ისტორიულ სცენიდან გადავიდეს. სწორეთ ამ მოსაზრებით იმპერატორი არ ელევა ჯარს, მას სურს ჯარი მის სრულ გამგებლობაში დარჩეს, ჯარი ერთი იყოს მთელ სახელმწიფოში და მასში ერთი, ნემეცური ენა იხმარებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში ჯარი მის სრულ ბრძანებლობაშია და მის ნებას ასრულებს. უნგრეთის პარლამენტში მას მხარს უჭერენ ძველი-ლიბერალები, რომელთაგან უმთავრესათ იკრიბება სამინისტროს წევრები. ხოლო ნაციონალ-ლიბერალები, დამოუკიდებლობის პარტია კოშუტის მეთაურობით და სხვა ოპოზიციონური ჯგუფები თხოულობენ ჯარის დამოუკიდებლობას, საკუთარ მადიართა ჯარის დაარსებას; ამით მათ ძლიერებას მტკიცე საფუძველი ეძლევა და ა[illegible]კას თავიდან იცილებენ. ისინი მომხრე არიან [illegible] ჯარში მადიარულ ენის შემოღების, განსაკუთრებულო ბაირაღების ხმარების და სხვა. ამით მზადდება ნიადაგი უნგრეთის სრულ დამოუკიდებლობისათვის. ამ ორ მიმართულებას შორის მუდვიმ არსებობდა დაფარული და ცხადი ბრძოლა, რომელმაც ამ უკანასკნელ თვეებში მწვავე საპარლამენტო კრიზისი შექმნა. უმთავრესი იარაღი ოპოზიციისა იყო პარლამენტის ნორმალურ მოქმედებისთვის ხელის შეშლა, ბიუჯეტის მიუღებლობა, ახალი ჯარის გასაყვანთა რიცხვის დაუმკიცებლათ დატოვება და მით სამინისტროს გადაყენება. მართლაც არა ერთხელ შეიცვალა სამინისტრო ამ სამი თვის განმავლობაში. დაეცა სელის სამინისტრო, ტისსას სამინისტრომ შედგომაც ვერ მოასწრო. კუენ-ჰედერვარმა ორჯელ სცადა სამინისტროს შედგენა და ორივეჯერ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა. მან ვერ მიიმხრო უმრავლესობა და ამიტომ ვერც ოპოზიციის დაწყნარება შეიძლო. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ჯარში სახმარ ენის შესახებ ლიბერალებიც ოპოზიციის აზრის გამოდგენ და ამით სამინისტრო უმცირესობაში აღმოჩნდა. საინტერესოა ზოგიერთი ეპიზოდი ამ ბრძოლისა: კუენ-ჰედერვარის სამინისტროს მეორეთ დაცემის შემდეგ კრიზისი მეტათ გამწვავებული შეიქნა. ყოველი მოლაპარაკება მთავრობის დაახლოვებულ პარტიებთან უნაყოფოთ დარჩა. ავსტრიის უმაღლეს სფერებში არას გზით არ უნდოდათ უნგრეთისთვის დაეთმოთ ამ შემთხვევაში, რადგან კარგათ გრძნობდენ, რომ ყოველი დათმობა უნგრეთის უფრო აშორებს მას ავსტრიას და ბოლოს სრულიად დამოუკიდებელ მხარეთ გადააქცევს. ხოლო ისეთი ქვეყნის ხელიდან გაშვება, როგორიც უნგრეთია, მათ სრულიადაც არ სურთ. ამიტომ იმპერატორს ურჩიეს არაფერი დაეთმო ოპოზიციისთვის, მტკიცეთ დაეცვა თავის უფლებები. ასეთ აზრთა გავლენით 3 ენკენისთვეს უნგრეთის ჯარისადმი გამოცემულ ბრძანების ბოლოში მეფემ ჩაურთო ისეთი სიტყვები, რომელნიც აშკარათ ამბობდენ, რომ ავსტრიის ჯარი ერთია და მისი ერთობა შეურყეველი უნდა დარჩეს, რადგან ეს უმთავრესი საფუძველია სახელმწიფოს ძლიერებისო. ამ სიტყვებმა ერთი ალიაქოთი გამოიწვიეს უნგრეთის ოპოზიციაში. მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა, სტუდენტებმა 800 კაცმა მანიფესტაცია გამართეს ასეთ ბრძანების წინააღმდეგ. მათ სახელოზე შავი ლენტები ეკრათ და ზედ ეწერა „ხლოპი. 3 სექტემბერი“ (ხლოპში გამოიცა ეს ბრძანება) თავის ნაციონალურ უფლებების დასაცველად ნაციონალისტებმა აგიტაცია გამართეს, რადგან მეფე ასე თვითნებობით ეპყრობა უნგრეთის ინტერესებს, ამიერიდან სახელმწიფო გადასახადებზე უარი უნდა ვთქვათ. ბევრმა ქალაქის თვითმართველობებმა მიიღეს ასეთი რეზოლიუცია, გარდასახადებს არ შევკრებთ და თუ შემომტანი აღმოჩნდება, არ მივიღოთო. ამასობაში მოუწია სამსახურ დასრულებულ ჯარის კაცთა დათხოვნის ვადამ, მაგრამ რადგან ასეთი გაწვევა ჯერ არ იყო პარლამენტისაგან დამტკიცებული, საჭირო შეიქნა ძველი ჯარის კაცების ნორმაზე მეტ ხანს დატოვება სამსახურში. ამას წინააღუდგენ ჯარის კაცნი და ბევრი ოფიცერთაგანი. ჯარის კაცებმა მთელი დემონსტრაციები გამართეს ქალაქის ქუჩებში და განაცხადეს, რომ ვადის შესრულების შემდეგ ისინი არ აპირობენ სამსახურში ერთ დღესაც დარჩენას. ბევრმა აფიცერმა დათხოვნის ქაღალდი შეიტანა და სხვა.

მღელვარება იმდენათ გაძლიერდა, რომ ვენის უმაღლეს სფერაშიაც 3 სეკტემბრის ბრძანება მეტის-მეტ უტაქტო ნაბიჯათ ჩათვალეს, ხოლო ოფიციალურმა გაზეთებმა ყოველი

ლონე ილონეს, რომ მისგან გამოწვეული შთაბეჭდილება შეესუსტებინათ. მათ განაცხადეს, რომ ჯარისადმი გამოცემული ბრძანება არ წარმოადგენს სახელმწიფო აქტს და მაშასადამე სრულიადაც არ უარჰყოფს სამხედრო სფეროში საჭირო რეფორმების შემოღებას და სხვა ამგვარები. ამ კითხვების გასარჩევათ არჩეულმა საპარლამენტო კომისიამ გადაწყვიტა, რომ ჯარი მეფის გამგეობის ქვეშ იმყოფება მაგრამ იმავე დროს პარლამენტი სწყვეტს კითხვებს მასში ცვლილების მოსახდენათ. ასე რომ ფაქტიურათ უფლება პარლამენტის ხელში ვარდება. გაგრძელებულმა ბრძოლამ სრულიად შეაჩერა ყოველგვარი საპარლამენტო ცხოვრება და ამ ერთ კითხვას დაუქვემდებარა ყველა დროული კითხვები. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა. ბრძოლამ მოღალა ორივე მხარე და ისინი დაადგენ დათმობის გზას. მეფე დაეთანხმა მცირედი ცვლილებებით კომისიის შემუშავებულ პროგრამას და სტეფან ტისსამ, რომელსაც მეფემ მიანდო ამ პროგრამით ხელმძღვანელობა, შესძლო როგორც იქნა უმრავლესობის მოპოვება და სამინისტროს შედგენა. როგორი იქნება მისი სამინისტრო, დიდხანს შერჩება გამგებლობა, თუ არა?

ამ კითხვებზე პასუხს მომავალი მოგვცემს. ახლა კი გავითვალისწინოთ თუ რა მოუტანა მადიართა ერს კრიზისის ასე დათავებამ. პირველათ პარლამენტის ხელში გადავიდა იმის განსაზღვრა, თუ რა უფლებით უნდა განაგებდეს იმპერატორი ჯარს, რომელიც მის მბრძანებლობის ქვეშ რჩება, ეს უეჭველია, პრინციპიალურათაც და ფაქტიურათაც პარლამენტის აქტივში უნდა ჩაიწეროს. მეორე. უნგრეთის ჯარში შემოღებულ იქნება მადიართა ენა, მადიარი ოფიცრები ყველა უნგრეთის ჯარში დარჩებიან და ავსტრიის ჯარში იმათ ვერ გააწესებენ. ამით პირველი ნაბიჯია გადადგმული უნგრეთის ჯარის სრულ დამოუკიდებლობისადმი, და შემდეგ მთავრობასთან შეტაკებებში უნგრეთის ოპოზიციას შეეძლება საკუთარ არმიაზე დაემყაროს და უნგრეთის დამოუკიდებლობა მოიპოვოს, მაგრამ რა მიიღო ამით ხალხმა, მშრომელმა, გამრჯელმა ხალხმა, რომელიც თავის ძალ-ღონით ინახავს მთელ სახელმწიფოს. ის სრულიად განზე დარჩა, ამ შემთხვევაში მას არაფერი არ მოუგია. ოპოზიციას, რომელიც ასე თავგამოდებით იცავდა ნაციონალურ უფლებებს, კრინტიც არ დაუძრავს უფლებების გაფართოვებაზე, მათ არ უზრუნიათ არც ჯარის-კაცთა ხვედრის შემსუბუქებაზე, არც სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებაზე და სხვა ამგვარზე. პირ-იქით ისინი მტკიცეთ იცავენ ხალხის უფლებებს, თავის უპირატეს მდგომარეობას. კოშუტი, რომელიც თავდადებული მებრძოლია უნგრეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ასე ეუბნება თავის უფრო რადიკალურ ამხანაგს, ბარაბაშს, როცა უკანასკნელი მეფის მოქმედების კრიტიკას შეუდგა და გვირგვინოსანის ქცევა გაკიცხა: თუ აუცილებელი ხდება გვირგვინოსანის შეხება კამათის დროს, სთქვა მან, ყოველ შემთხვევაში უნდა შევეხოთ მეტათ წინდახედულათ: კეთილი განწყობილება ტახტსა და პარლამენტს შორის აუცილებელი პირობაა კონსტიტუციონურ ცხოვრებისა, დამოუკიდებლობის პარტია იცავს უნგრეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ ის არასოდეს არ ყოფილა რესპუბლიკანურ წყობილების მომხრე''. ამნაირათ მისი მისწრაფება ეროვნულ დამოუკიდებლობისადმი სრულიადაც არ შეიცავს პოლიტიკურ წყობილების გადემოკრატებას. არა მას მხოლოდ გადააქვს უფროსობა ერთი ბატონიდგან, მეორეს ხელში; ცხადია აქ, როგორც ზევითაც ვთქვით ორი ბატონი ეცილება ერთი მეორეს უფროსობას და თვითეული მათგანი სხვა-და-სხვა საშვალებით ცდილობს ამის მიღწევას.

სულ სხვა გვარათ შეხედა ამ კრიზისს იმ პარტიამ, რომელსაც სოციალ დემოკრატიულ პარტიას ეძახიან და რომელიც სათავეში უდგას მშრომელი ხალხის ინტერესებს. კრიზისი პარლამენტარულ ცხოვრებაში მომასწავებელია [illegible]გისობის, გამომხატველია მასში დაფარულ [illegible] წინააღმდეგობის. მართლაც არც ერთ დასავლეთ ევროპის პარლამენტში ის ხმები უსამართლოთ არ არის განაწილებული, როგორც ავსტრო-უნგრეთში. არსად, არც ერთ კონსტიტუციონურ სახელმწიფოში ხალხის უმრავლესობა ისე მოკლებული არაა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობას, როგორც ავსტრიაში. პარლამენტში წარმომადგენლის გაგზავნის უფლება დამოკიდებულია ამა თუ იმ კლასის სოციალურ მდგომარეობაზე. რამდენათ უფრო მაღლა დგას კლასი სოციალურ პირამიდის საფეხურზე, იმდენათ მეტ რიცხვს აგზავნის წარმომადგენლებისას პარლამენტში. ამისათვის მთელი სახელმწიფო დაყოფილია ე. წ. კურიებათ: პირველ კურიას შეადგენს თავად-აზნაურთა წოდება, ყავს 5,180 ამომრჩეველი და აგზავნის სულ 85 დეპუტატს ე. ი. თითო წარმომადგენელს 64 კაცზე. მეორე კურიაში შედიან ქალაქები, სულ ამომრჩევლები 394,000 და ირჩევენ 118 დეპუტატს ე. ი. ერთს 3,341 კაცზე. მესამე კურია (ვაჭარ მრეწველთა პალატა) შეიცავს 591 ამომრჩეველთ და აგზავნის 21 წარმომადგენელს ე. ი. ერთ კაცს 28 ამომრჩეველზე. მეოთხე კურიაში შედიან სოფლის მცხოვრებნი რიცხვით 1,490,959 ამომრჩეველი და ყავთ პარლამენტში სულ 129 წარმომადგენელი ე. ი. თითო 11,555 კაცზე. 1897 წელს ამას გარდა შემოიღეს მე-5 კურია, რომელსაც შეადგენენ ავსტრიის სახელმწიფოს ყველა მცხოვრებნი, განურჩევლათ წოდებისა და კლასისა და ირჩევენ 72 დეპუტატს. თუ ცალკე საამომრჩევნო ოლქებს ავიღებთ ხშირათ ასეთ კურიოზებს შეხვდეთ მაგ. რომ 46 ჩეხიის აზნაური აგზავნის 5 დეპუტატს, ე. ი. 8 კაცზე თითო კაცს. მაშინ როცა გალიციის გლეხობა აგზავნის 494,000 სულზე მხოლოთ ერთ დეპუტატს. ამ ნაირათ პარლამენტში ხვდებიან მხოლოდ უმაღლესი კლასების წარმომადგენლები და ხალხი თითქმის ყოველ უფლებას მოკლებული რჩება. ის შრომობს, იღვწის, თავის ოფლით ინახავს სახელმწიფოს და თვითონ იმ უფლებასაც კი მოკლებულია, რომ მის ჯიბიდან ამოღებული ფულის დახარჯვის გაწესრიგებაში მონაწილეობა მიიღოს და აი როცა ხალხის უმრავლესობა ასეთ დაბეჩავებულ და პოლიტიკურათ დამონავენულ მდგომარეობაშია, ოპოზიციას ის სრულიადაც არ ახსოვს, მისთვის თავს არავინ იტკივებს. სამაგიეროთ ისინი თვითონ ეძებენ თავის უფლების დასაცველ საშვალებას, და ერთ ამ საშვალებათაგანს შეადგენენ მანიფესტაციები. მუშათა პარტიამაც ისარგებლა ვენგრიის პარლამენტის კრიზისით და თავის კანონიერი მოთხოვნილებები წამოაყენა. მან მოითხოვა სრული სიტყვათა და პროპორციონალური არჩევნების შემოღება, და თავის მოთხოვნილებების დასაცველათ გამართა მანიფესტაციები ავსტრო-ვენგრიის თითქმის ყველა ქალაქებში. ვენაში სოც. დემ. მოახდინეს კრება არსებულ საარჩევნო წესის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ. ორატორებმა გაკიცხეს არსებული წესი არჩევნებისა, პოლიციის მოხელენი წინააღუდგენ ასეთ კრებების გამართვას და მათ შორის შეტაკება მოხდა, რომლის შედეგი იყო 11 კაცის დატუსაღება. ამნაირივე კრებები გაიმართა სოც. დემ. მეთაურობით სხვა ქალაქებში, ლვოვში, ბრიუნში, პრაგაში, აფრიკაში, ლიუბლანსში და სხვ. ყველგან მოთხოვნილება ერთი იყო: ხალხისთვის თანასწორ საარჩევნოუფლებების მინიჭება...ამნაირათ უნგრეთის კრიზისმა ორნაირი მოძრაობა დაგვანახვა, ერთი ეძებს ეროვნულ დამოკიდებულობას, მეორე ხალხის უფლებების გაფართოებას, ერთის მისწრაფებაა—ბატონობა ერთი ხელიდან მეორეში გადავიდეს. მეორეს მისწრაფებაა ბატონო-

ბას სრულიად ბოლო მოეღოს და ყველა ადამიანს სრული თანასწორობა მიენიჭოს, პირველს საგრძნობელი ძალა აქვს პარლამენტში და იქიდან ცდილობს თავის ინტერესების დაცვას. მეორე პარლამენტი უმნშვნელოა და ამიტომ თვით ცხოვრებაში მოქმედებით ეძებს წართმეულ უფლებების დაბრუნებას და სამართლიანობის აღდგენას...

—

პოლიტიკურ პარტიათა კრებები გერმანიაში.

უკანასკნელ ხანში გერმანიაში ზედი-ზედ იმართება რეიხსტაგის პარტიათა კრებები: შეიკრიბენ სოციალ-დემოკრატები, შეიკრიბენ თავისუფალ მოაზრენი და ნაციონალ-სოციალისტები. ვთქვათ ცალ-ცალკე მათზე.

უკანასკნელ არჩევნებზე შესანიშნავმა გამარჯვებამ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, ერთბაშათ მიაპყრო მთელი ევროპის ყურადღება ამ პარტიას. არარაობიდან ის დღეს ერთი ულონიერესი პარტია შეიქნა დეპუტატთა რიცხვით და ყველაზე ღონიერი ამომრჩეველთა ხმის რაოდენობით. რა გზას დაადგება ის, რას მოახმარებს თავის ძალ-ღონეს, ეს კითხვები კი უდგია ყველას წინ. დარჩება ის, როგორც წინეთ, შეურიგებელი დაუცხრომელი მებრძოლი არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ, თუ მასში დაბადებული განხეთქილება მძლავრათ იჩენს თავს და პარტიას ან ორათ გაყოფს და ამით დაასუსტებს, ან და თავის მშვიდობიან, კომპრომისების ტაქტიკას დაახვევს თავზე. ამაზეა დამოკიდებული მათი პარლამენტრული მოქმედების ასეთი თუ ისეთი პოლიტიკური მნიშვნელობა. ამიტომ მთელი გერმანია და მათთან მთელი განათლებული კაცობრიობა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს კრებას დრეზდენში, სადაც უნდა გადაწყდეს ყველა ეს პარტიისთვის საჭირბოროტო კითხვები. პარტიის საკრებულო ზალა სავსეა ყველა გაზეთების წარმომადგენლებით, რომელთაც უნდა საჩქაროთ აცნობონ კრების მსვლელობა თავის გაზეთებში. ეს კრება მეტათ საყურადღებოა. მართლაც არც ერთ წინანდელ კრებას არ დასწრებია იმდენი დელეგატები (400-მდე), არც ერთ კრებაზე არ ყოფილა ასეთი გაცხარებული სჯა-ბაასი, კამათი, შეხლა-შეჯახება მოპირდაპირე ჯგუფებისა. აქ შეიტაკენ ორტოდოქსალური მიმართულება და რევიზიონისტები, ტაქტიკა რევოლიციონური და რეფორმატიული, პირდაპირი და კომბინაციების ტაქტიკა. ვინ გამოვა მათგან გამარჯვებული?

კრებას ჩვეულებრივათ თავმჯდომარეობს ზინგერი, მხნე და გამოცდილი თავმჯდომარე. ის თავდაჭერილი, მტკიცე, ენერგიული ხასიათისაა, ე. ი. ისეთი თვისებებით შემკული, როგორც საჭიროა მრავალრიცხოვან კრების ხელმძღვანელობისთვის. როცა ბრაუნმა ერთ თავის ამხანაგს მერინგს ბ-ნი მერინგი უწოდა, მან ავტორიტეტიულათ შენიშნა: აქ არა გვყავს ბატონები,, არიან მხოლოდ ,,ამხანაგები''. კი, მარა, მე ვაძლევ თავს ნებას ბ-ნი ვუწოდო მას. შენ ვერაფერ ნებას ვერ მისცემ თავს, თუ ჩემი ნებართვა არ იქნება,—გააწყვეტინა მას ზინგერმა... ასე, კრება გაიხსნა ზინგერის თავმჯდომარეობით. პირველათ ორატორებმა აღნიშნეს ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც მათ მიიღეს უკანასკნელ არჩევნების დროს და რომელიც პირდაპირი შედეგი იყო მათი ენერგიული, დაუღალავი, შეუპოვარი მოქმედებისა. აღნიშნეს აგრეთვე მუშათა პრესის გაძლიერება, რომელსაც 100,000 ხელის მომწერი მოემატა უკანასკნელ წლის განმავლობაში. შემდეგ გადავიდენ იმ კითხვების განხილვაზე, რომლებიც სხვა-და-სხვა ოლქებიდან იყო წარმოდგენილი.

პირველათ დაყენებულ იქნა კითხვა ბურჟუაზიულ პრესაში მონაწილეობის შესახებ. ბებელმა მთელი სიტყვა უძღვნა ამ საკითხს და სასტიკათ გაკიცხა ისინი, ვინც ,,ეროვნულ-ბურჟუაზიულ პრესაში მონაწილეობით, იმ პრესაში, სადაც მათი წერილების გვერდით უშვერი სიტყვებით ლანძღვენ, ტალახში სვრიან მათ იდეებს, აზრებს და მისწრაფებებს. კრებაზე გამოირკვა მართლაც, რომ ბევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები სრულიად არაფრათ აგდებენ ბურჟუაზიულ პრესაში თანამშრომლობის და ფულის გულისთვის არავითარ თავის დამამცირებელ ზომებს არ ერიდებიან. განა დამამცირებელი არ არის ისეთ პრესაში მონაწილეობა, რომელიც აშკარათ აღიარებს თავის სრულ უიდეობას და მხოლოდ ერთ მიზანს, გამდიდრებას, ხელის-მომწერთა მომატებას ემსახურება? გაცხარებულ კამათში ბევრი მწვავე სიტყვები მოხვდა გერმანიის საუკეთესო პუბლიცისტს მერინგსაც, რომელსაც ბევრი შეცოდება გამოუჩხრაკეს წარსულში, თუმცა ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მის მოქმედებას ჩირქი არ მოსცხებია. ბებელის მკაცრი მსჯელობა ბევრ ახალგაზდას არაფრათ ეპიტნავა და დრტვინვა დაიწყეს, ნუ თუ მას აღარ ახსოვს ახალგაზდობა, როცა მასაც სწყინდა მოხუცი ამხანაგების ოპეკაო ან და რა სარგებლობას მოუტანს პარტიას, როცა მის მწვირიან საცვლებს ასე საჯაროთ რეცხენ, არ მისცემს ეს მარჯვე იარაღს მოწინააღმდეგეთ ჩვენ წინააღმდეგაო. მაგრამ ბებელის არ სწამს მალულობიას თამაში. ,,ათასჯერ უკეთესია თავის საკუთარი სახელი უწოდო ყოველ მოვლენას, ვინემ ხელი დააფარო შინაურ განხეთქილებას. ეს მუწუკებია, რომელიც უჩნდება ყოველ პარტიას, როცა ის ასეთ ძლიერებამდის მივა, როგორც ჩვენი პარტიაა. საჭიროა მათი გამორწყვა და რაც ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია, ოპერაცია გაივლის და ჩვენ ჯანსაღი შევიქნებით!'' ასეთ მუწუკებათ ბებელი სთვლის ოპორტიუნისტთა ჯგუფს. მათ თავისი განსაკუთრებული პოლიტიკური მორალი (ზნეობა) შამოაქვთ მუშათა მოძრაობაში, რომელიც თითქმის სრულიად არ წაგავს პროლეტარიატის მორალს. ,,ყველა პატიოსან ადამიანს ჩვენ სახარულით ვეგებებით, როგორც ამხანაგს,—განაგრძობს ბებელი, და თუ მას თან ახლავს ცოდნა, მეცნიერება, ნიჭი მით უკეთესი. მაგრამ ორი მოთხოვნილება აუცილებლათ უნდა წარვუდგინოთ ყოველ მომსვლელს: თუ ჩვენთან მოდიხარ, უნდა იყო გულწრფელი, მტკიცეთ დარწმუნებული მებრძოლი მუშათა ინტერესებისთვის, მუშა ხალხი არ მიგაჩნდეს გაუნათლებელ, ყრუ ბრბოთ და თავის თავი არ მოგვონდეს რალაც უმაღლეს არსებათ. ჩვენ არ გვჭიროა ქურუმები, რომელნიც ზიზღით უცქერიან ხალხს. მე ვეკითხები გეორგს, ბერნგარდებს, ბრაუნებს და ამხ. უმწიკვლოა იმათი საქციელი, ვინც ვერცხლის გულისთვის სწერენ ჩვენი აშკარა მტრების გაზეთებში? წრფელი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც ქადაგებს ორგვარ მორალს, ერთ ინტელიგენციისთვის და მეორეს ხალხისთვის? 40 წელზე მეტია მე ვდგევარ პოლიტიკურ ასპარეზზე, ჩემი იდეები იცვლებოდენ, ყველამ კარგათ იცით, ყველა ის სისულელე, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ჩამიდენია, იცით, რამდენჯერ ჩამიდენია, ისინი ჩაწერილი და ხაზგასმულია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ვერც ერთი ადამიანი, თუნდაც ჩემი შეურიგებელი მტერი, ვერ იტყვის, რომ მე სვინიდისი წმინდა არ მქონდეს (აღტაცებული, ხანგრძლივი ტაშისცემა). რამდენჯერ წამიკითხავს და ყურითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსმენია, დროა მოხუცი მოვასვენოთო, მაგრამ როგორ უნდა მოიშოროთ, როცა მას მხარს აძლევს მთელი ხალხი? დაკითხებიხართ თქვენ თავს, რატომ დგას ჩემკენ ხალხი? იმიტომ რომ ხალხს მეტათ განვითარებული აქვს სიმართლის გრძნობა. უწოდეთ ამას რაც გინდათ, სვინიდისი, გინდა ინსტინქტი! ყოველ ჩემ მოქმედებაში, ყოველ ჩემ შეცდომაში, ყოველ ჩადენილ სისულელეშიაც, ხალხი გრძნობდა და ხედავდა, რომ მე ვიქცევი, როგორც პატიოსანი კაცი, რომელიც ფიქრობს არა თავის თავზე, არამედ მაზე. ბევრი თქვენგანი იტყვის, განდიდების მანიას შეუპყრია ჩვენი მოხუციო, მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია, აქ კითხვა ეხება ჩვენს მომავალს, ჩვენი დიადი იდეალების განხორციელებას, ამიტომ მოგმართავთ ყველას, ვისაც გულწრფელათ გსურთ სიმართლის სამსახური, და გიმეორებთ: თუ გსურთ ხალხზე გავლენის მოპოვება, ნუ თამაშობთ მის წინ მალულობიას, იყავით მათი მონა-მოსამსახურე, იცხოვრეთ მათთან საერთო ინტერესებით, იგრძენით ის, რასაც ის გრძნობს! აი ამაშია ჩემი გავლენის საიდუმლოება, მოიქეცით ასე, და ხალხი თქვენც შეგიყვარებთ და დაგაფასებთ. კიდევ მეტს ვიტყვი, თქვენ შეგიძლიათ მაშინ გაუძღვეთ ხალხს გამარჯვებისაკენ; შეუგნებლობა და უსამართლობა გაქრება მაშინ დედამიწის პირიდან! (ვაშა და ტაშისცემა)“. დანარჩენებზე შემდეგ.

ძ ი ძ ა

(მოთხრობა გურულების ცხოვრებიდან)

VII

(დისასრული. იხ. „კვალი“ № 27)

მეორე დღეს ქრისტინემ საშინელის თავის ტკივილით გაიღვიძა და პირველათ ვერ მოეგონებინა, თუ რა მოხდა. ის გრძნობდა, რომ რაღაც საზიზღარი საქმე ჩაიდინა, მაგრამ რა? მან დაიწყო გუშინდელი საღამოს მოგონება და უცებ ელდა ნაცემივით წამოვარდა და დაჯდა ლოგინში. ცოტა ხანს იყო გაჩუმებული, მერმე მიიფარა ორივე ხელები პირზე და შერცხვენილი კვნესით ჩუმათ ატირდა, რომ არავის გაეგონა. მაგრამ, რადგანაც ამ დროს ბავშმა გაიღვიძა და ტირილი დაიწყო, ქრისტინე უნდა ამდგარიყო და აკანკალებულის ხელებით ჩაიცვა ტანზე, დააკმაყოფილა ბავში და ისევ დაჯდა ლოგინზე. ის იჯდა შერცხვენილი, გარინდებულის სახით და გულის ფანცქალით ფიქრობდა, თუ როგორ უნდა გავიდეს ეხლა სირცხვილით მეორე ოთახში და რა პირით შეხედოს ქალბატონს, როცა ის დაუძახებს ტანზე ჩასაცმევათ. მას სცხვენოდა წარსულის მოგონებისა, მაგრამ კიდევ უფრო სცხენოდა დანახვებოდა ვინმეს მომავალში და შეშინებული იჯდა გაუნძრევლათ ერთ ადგილს.

სასადილო ოთახში გაისმა ვაჟბატონის განრისხებული ხმა:

— ვინ მოიტანა ეს წერილი? დენშჩიკმა? დაუძახე აქ! კარები გაიღო და ქრისტინემ ფეხის ხმაზე იცნო, რომ დენჩშიკი შამოვიდა.

— შენ თითონ ნახე ქალბატონი მიმავალ გემზე?.. თითონ მოგცა წერილი, ერთად წავიდნენ?

— დიაღ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, მიუგო დენშჩიკმა.

— წადი.

— დენშჩიკი გავიდა.

ცოტა ხანს შემდეგ ქრისტინეს მოესმა გაჩქარებული ბოლთის ცემა... უცებ ფეხის ხმა შესწყდა და მოისმა მაღალი ხარხარი.

— პარისმა თვითონ ვენერა წაიყვანა? ხა-ხა-ხა?

უცებ გაიღო ქრისტინეს ოთახის კარები და ხარხარით შამოვიდა შიგ ვაჟბატონი წერილით ხელში.

— ხა-ხა-ხა, ძიძა, ჩვენი ვენერა და პარისი ფიუ! დაუშტვინა მან და გაიქნია ხელი ჰაერში.

ქრისტინე მაშინვე მიხვდა, რომ ქალბატონი და ულვაშებ აწკეპილი აფიცერი ერთათ გაიქცენ ღამის გემით და ოდნავი შეღავათი იგრძნო. მან განცვიფრებით შეხედა მოცინარე ვაჟბატონს, მაგრამ ვაჟბატონი ერთბაშათ ისევ მოიღრუბლა, დაჭმუჭნა წერილი და საჩქაროთ გავიდა ისევ სასადილო ოთახში.

— ჩაი, ჩაი, ჩქარა დამისხით, უნდა წავიდე,—თქვა მან.

დენშჩიკმა ამ დროს შემოიტანა ადუღებული სამოვარი და დადგა მაგიდაზე. ქრისტინე რაღაც მანქანასავებ დაემორჩილა ამ ბრძანებას და როგორც ყოველთვის, გამოვიდა ჩაის გასაკეთებლათ. როცა გააკეთა და დაასხა, ბატონმა მაშინვე აიღო თავისი ჭიქა. ის იდგა ფეხზე და საჩქაროთ სვამდა თავის ჩაის მრისხანე სახით, არავისკენ არ იცქირებოდა.

შამოვიდა მზარეული ქალი ანგარიშის წიგნით ხელში და გაჩერდა კარებთან.

— რა გინდა შენ?—დაეკითხა მას ბატონი.

— სადილათ რას მიბრძანებთ, რა გავაკეთო?

— სადილათ?!. განიმეორა მან,—ახ, ძიძა, უთხარი რა გააკეთოს; მე არ მცალია, მეჩქარება სამსახურში—მიუბრუნდა ის ქრისტინეს და საჩქაროთ გავიდა გარეთ.

მზარეული ქალი განცვიფრებული ამ სიტყვების გაგონებაზე ეჭვიანის თვალით დააცქერდა ძიძას. ქრისტინე პილპილივით აენთო; მან შეატყო, რომ ეს ჭკვიანი დედაკაცი ყველაფერს მიხვდა. ეს ცხადათ ეტყობოდა მისი თვალების მკაცრ ცივ შუქზე. დენშჩიკის სიტყვებმა კი, რომელმაც ბატონი გააცილა და დაბრუნდა ახლა ოთახში:—ოპო, ახალი ქალბატონი გაგვიჩნდა ასე ჩქარა? მთლათ დაარწმუნა ქრისტინე, რომ აღარავისთვის აღარ იყო საიდუმლო მისი საქციელი. მან მწვავეთ იგრძნო თავის ყალბი მდგომარეობა და გაფითრდა, ოდნავ დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— რაც გინდა იგი გააკეთე,—რაღაც მკვდარის ხმით და მკვდარის სახით უთხრა მან მზარეულ ქალს და საჩქაროთ გავიდა თავის ოთახში, მივიდა ფანჯარასთან გაიხედა, გარეთ, ცოტა ხანს იდგა შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო სწრაფათ მოტრიალდა, აიყვანა ბავში ხელში, აჩქარებული ჩააცვა ტანზე, მერმე დაიხურა თავზე მოსახვევი და გამოვიდა გარეთ. ქუჩაზე, ცოტა ხანს შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და გაჩქარებული გასწია რკინის გზის სადგურისაკენ. მიდიოდა ის მოუთმენლის სისწრაფით, პირ მოკუმშული წარბებ შეკრული, თვალცრემლიანი. სადგურზე მან მონახა „კასა“ და გაჩერდა გაჩუმებული, გარინდებული, თითქო დაავიწყდა, რისთვისაც მოვიდა.

— რა გინდა?—დაეკითხა მას კასირი.

— ბილეთი ნატანებამდის.—ამოიღო ქრისტინემ ჯიბიდან წვრილი ფული, მიაწოდა, გამოართვა მწვანე ქაღალდის ნაჭერი და საჩქაროთ წავიდა პლათფორმისაკენ, შევიდა მესამე კლასის ვაგონში და დაეშვა ფანჯარასთან ცარიელ ადგილას. მან ერთბაშათ რაღაც შეღავათი. იგრძნო და როცა მატარებელი დაიძრა, გულიანათ დავისუფლათ ამოისუნთქა. „ვეტყვი, ვეტყვი, ყორიფელს ვეტყვი, რაც უნდა, იგი მიქნას“ წარმოსთქვა მან თითქმის ხმა მაღლა და შეშინებული მიიხედ-მოიხედა ირგვლივ. მას მოაგონდა დედამთილის სიტყვები: „დედაკაცმა თავს ვერ მოუარაო“—„ვერ მოვუარე ვერც მე, მომკლას, კიდევ უკეთესია... ღირსი ვარ, ვეტყვი ყორიფელს, რავაც დევინახავ, მაშინვე ვეტყვი“—ფიქრობდა ის თავის ქმარზე და

თავ-ჩალუნული ყურადღებას არ აქცევდა არაფერს. ბავში სიცილით ეპოტინებოდა და იწევდა ფანჯრისაკენ. ქრისტინემ მიაბრუნა ის ფანჯრისაკენ და თითონაც გაიხედა გარეთ.

მატარებელი გასცილდა ქალაქს და ეხლა ზღვის ნაპირას მიდიოდა. მაგრამ ქრისტინე ვერ ამჩნევდა ზღვის პირის საოცარ მშვენიერებას, ის ვერც კი ხედავდა მას, მისთვის სულ ერთი იყო ზღვა, ხმელეთი, მზე, დღე, ღამე. მან არც კი იცოდა, დღე იყო ეხლა თუ ღამე, ის ვერ ხედავდა სინათლეს. ქრისტინე მხოლოდ გრძნობდა რაღაც ყრუთ, რომ ის რაც მოხდა, იმან გააქრო მის გთლში სინათლე, წაშალა ყველაფრის ნამდვილი მნიშვნელობა. მან მხოლოდ იცოდა ის, რომ მიდიოდა ქმართან, საცოდავ ჩოფანო ქმართან, რომელიც ამ წამში არც სძულდა და არც უყვარდა. მიდიოდა, რომ ეთქვა მისთვის ყველაფერი. რისთვის იყო საჭირო თქმა, მან არ იცოდა და არც აძლევდა თავის თავს ანგარიშს. „ვეტყვი, ვეტყვი ყორიფელს, რაც უნდა, იგი მიქნას“—იმეორებდა ის წამდაუწუმ და თავის ფიქრებში გართული, ვერ ამჩნევდა, იჯდა ვინმე მის მეტი ვაგონში, თუ არა. მას არ ესმოდა, როგორ უყვიროდა კონდუქტორი რემდენიმე წამის განმავლობაში და სთხოვდა ბილეთს; ვერ ამჩნევდა, როგორ დასცინოდნენ მას ამის თაობაზე ირგვლივ მეზობლები „ვეტყვი, ვეტყვი ყორიფელს“—განიმეორა მან. ამოიღო ბილეთი, მიაწოდა კონდუქტორს და მიიხედ- მოიხედა. ვიღაც ქალი დაელაპარაკა მას. ქრისტინემ გაკვირვებული გადაავლო მას თვალი და ისევ გაიხედა უაზროთ ფანჯარაში.

ვიღაცამ ბავშვს ალერსი დაუწყო. ბავშვს შეეშინდა, ატირდა და ჩაეხუტა ძიძას. ქრისტინემ სწრაფათ ჩაიკრა ის გულში და სიყვარულით ნაზათ აკოცა. ერთ წამს ის თითქო ღრმა ძილისაგან გამოირკვა: მოესმა საამური სიმღერა, ფანჯარაში გამოჩნდა მშვენიერი მზიანი, ბრწყინვალე დღე. მატარებელი მისრიალებდა ამწვანებულ, შობიბინე ტყეში. ქრისტინეს პირდაპირ იჯდა ახალგაზრდა ლამაზი ქალი და ალერსიანათ უცინოდა მას.

— შენც ნატანებში მიხვალ?—დაეკითხა ის. მაგრამ წარმოიდგინა თუ არა ქრისტინემ, სადაც მიდიოდა და რისთვისაც მიდიოდა, მაშინვე მიეცა ისევ თავის ფიქრებს და ყველაფერმა დაჰკარგა ნათელი ფერი, ყველაფერს დაეკარგა თავისი მნიშვნელობა. ბავშვს დაეძინა. ქრისტინე ადგა, დააწვინა ის თავის ადგილას და თითონ გაიხედა ფანჯარაში. ნატანების სადგურზე მისვლამდის უკან აღარ მოუხედავს.

სამხრობა იქნებოდა, როცა ქრისტინე შევიდა თავის სოფლის ორლობეში. მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა და მძაფრათ აცხუნებდა. ქრისტინე ბავშვით ხელში გაწითლებული და დაღალული ნელის ნაბიჯით გაუბედავათ მიდიოდა შინისაკენ. ის ისე ხშირათ აღარ იმეორებდა:

„ვეტყვი ყველაფერს, რაც უნდა იგი მიქნასო“. ახლა ეს მას ძნელ სათქმელათ ეჩვენებოდა და არ იცოდა, როგორ და რა ნაირათ ეთქვა.

რამდენათაც უახლოვდებოდა ის სოფელს და მერმე თავის „შინას“, რამდენათაც ის ცნობილობდა ხეებს, სახლებს, მოთამაშე ბავშებს, იმდენათ მისი გული მოულოდნელის სიხარულის გრძნობით ივსებოდა. ის ოცნებობდა, რომ „კოწიეი“ არ დახვედროდა შინ, რომ რაც შეიძლება მეტი დრო ჰქონოდა ყველაფრის დასათვალიერებელ—სანახავათ. ხანდისხან ისე გაიტაცებდა რამე სანახაობა, რომ ავიწყდებოდა კიდევაც თავის მოსვლის მიზეზი. მაშინ მას ეგონა, რომ ესეც არის გამოვიდა შინიდგან მეზობლისას ფქვილის სასესხებლათ ბალნით ხელში და ეხლა დაბრუნებული მიდის თავის ოჯახში. ბავშიც ამ დროს თავის „მაროიათ“ ეჩვენებოდა და სიხარულით იცქირებოდა იქით აქეთ. „სიმინდი სამარგელი შექნილა“, ფიქრობდა ის „ნეტაი სადაა კოწიეი, შინ მუშაობს თუ ეწერში“ მას იმედი ქონდა, რომ ეწერში მუშაობს და ძსუბუქათ მიდიოდა შინისაკენ.

საიდგანღაც მოისმა ნადური სიმღერა.

ქრისტინე შეჩერდა, მოიწმინდა შუბლზე ოფლი და გაიღიმა. მისმა სახემ სრული ბედნიერება გამოხატა.

„ია-უა-ია-უა“ ისმოდა წვრილი გამყივანის ხმა; რომელიც შესცვალა ბოხმა ხმამ: ია-ბო ია-ბო!

— ნადური, ნადური—წარმოსთქვა მან აღტაცებით და მაშინვე მოაგონდა თავის გარემოება. „ახ, იგი საშინელი საქმე რომ არ მომხდარიყო“ ზიზღით იფიქრა მან და უხაროდა, რომ მისი სახლი განაპირა იყო და რომ მას ვერავინ დაინახავდა. მაგრა აი გამოჩნდა მისი შინა: ეზო და სახლები, სახლის წინ დიდი ნიგვზის ხე. ქრისტინეს ყველაფერი დაავიწყდა და გახარებული თითქმის გაიქცა იქითკენ. აი მურიაც ყეფით გამოიქცა მისკენ.

—„მურია, მურია, ჩემო მურია, ვერ მიცანი?—შესძახა ქრისტინემ სიცილით ძაღლს. მურიამ შეხედა თავისი ყვითელი თვალებით და კუდის ქნევით და წკმუტუნით დაუწყო ლაქუცი და კაბის კალთებში ხვევნა.

ღობეზე დაიყივლა მამალმა, ქრისტინემ იცნო ის პატარა „მამლუჩა“, რომელიც მან სათესლეთ გაუშვა შემოდგომაზე. ის სრულიად გახარებული და ბედნიერი გაეშურა ჭიშკრისაკენ. მაგრამ უცებ მის წინ თითქოსამ წამში გაჩნდაო, ამდენ ხანს ქრისტინეს არ შეუმჩნევია, დაინახა დაბალ ქვის ბოკონებზე დადგმული ოდის საძირკვლები. ამ დანახვამ სწრაფათ მოაგონა მას, რისთვისაც გაჩნდა ის დღეს შინ და საშინელმა შიშმა შეიპყრო ის. „უნდა ვუთხრა“, მომკლავენ აგინი, ველარაფერს ველარ ვნახავ“. გაუელვა მას ნაწყვეტ-ნაწყვეტათ თავში და მას უნდოდა გაქცეულიყო უკან, სადღაც დამალულიყო, რომ არავის დაენახა. სრულიად გაოფლიანებული შეშინებული შეჩერდა ის.

— ქრისტინე, ქრისტინე მევიდა—მოესმა მას გახარებული ხმა. ქრისტინემ მიიხედა იქითკენ, მისკენ მორბოდა პერანგის ფრიალით გულ-გაღეღილი თავზე ცხვირსახოც წაკრული, ფეხშიშველი კოწია ისეთის ბრწყინვალე, გახარებულის სახით, რომ ქრისტინემაც უნებურათ გაიღიმა.

— ქრისტინე რაფერ მოულოდნელათ, ტყუილაი კი არ მიხაროდა რაცხა დღეს, იმიზა არ წევედი ეწერში, აქანაი დავრჩი ეზოში სამუშაოთ. მომე ბალანაი... რავა დაღალულხარ?.. აბა ნენავ!.. სადაა ნეტაი აი ნენაი?.. უკმელი იქნები!.. აქეთ შამოი... რა კაი ქენი, რომ ჩამოდი... შამოი, შამოი... ამბობდა ის სხაპა-სხუპით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გამოართვა ბავშვი და წავიდა წინ სახლისაკენ, მაგრამ წამ და უწუმ იხედებოდა უკან და სიყვარულით ელაპარაკებოდა ქრისტინეს, რომელიც მას უკან მისდევდა.

— რეიზა არ შემატყობიე, ურემს ჩამევიყვანდი სტანციაზე და ორივეს წამოგიყვანდით, რეიზა მეიკალი თავი ბალანაის ზიდვით.

ქრისტინეს გადაწყვეტილება, რომ როგორც დაინახავს კოწიას ყველაფერს ეტყვის, ეხლა სრულიად გაქრა. ის მიყვებოდა უკან კოწიას და ფიქრობდა: „სახლში რომ შევალთ, მერე ვეტყვი“, მას ეხლა აღარ ეშინოდა არც ქმრის, არც სიკვდილის და ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გააუბედურებს ამ კეთილ კოწიას მისი სიტყვები და გადადვა შემდეგისთვის.

— ნენავ, ნენავ, მოი ვინ გვესტუმრა, ნახე!—გასძახა კოწიამ ბოსტანში მომუშავე მზეხას.

ისინი ორივენი შევიდენ სახლში. კოწიამ დააჯდინა ბავში ტახტზე. დაჯდა ქრისტინეც.

— უსადილო ხარ?—დაეკითხა მას კოწია ზრუნველობით. ქრისტინეს მოაგონდა, რომ დღეს არაფერი უჭამია და დაუქნია თავი.

— დედავ, დედავ!—შემოვიდა გაკვირვებული მზეხა სახლში.—ბალანაიც ქე წამოგატანეს, რამდენი ხნით გვესტუმრეთ?

— ნენავ, რავა ჯერ სახლში. არ შემოსულა და რა საკითხავია მაი—წყენით მიუგო დედას კოწიამ.

ქრისტინემ ხმაზე შეატყო შიში, რომ ჩქარა არ წასულიყო და რომ დაემშვიდებინა ქმარი, საჩქაროდ თქვა:

— თლა!—სახტათ დარჩა მზეხა.

— ეჰ, რას მიჩივი, ჩემო ქრისტინე, შეჰყვირა აღტაცებულმა კოწიამ, საჩქაროთ დაადვა ცოლს ბეჭებზე ხელი და ჩამოჯდა მასთან. ქრისტინემ შეხედა მის ბედნიერ სახეს, ბრწყინვალე თვალებს და იფიქრა: „ახლა არ შემიძლია ამის გაუბედურება, ხვალ ვეტყვი“. მან თითონაც გაიღიმა და მიუგო ქმარს.

— ჰო, თლა მეველი. ბატონს ცოლი გიექცა და მე რაღას მუუცდიდი იქინეი.

მეორე დღეს დილა ადრიანათ წავიდა კოწია ბათომში, რომ მოლაპარაკებოდა დერიანს, და ქრისტინე გულის კანკალით ელოდა მის დაბრუნებას. დარწმუნებული იყო, რომ იქ ყველაფერსგაიგებდა კოწია და არ იცოდა, რა მოელოდა მას. ერთის მხრით მას სურდა კიდევაც, რომ იქ გაეგო ყველაფერი, რადგანაც მას თითონ ერთობ ეძნელებოდა გასტეხოდა ქმარს თავის დანაშაულობაში. მრთელი დღე ის სევდიანი დადიოდა და აზრით ემშვიდობებოდა ყველაფერს: მარგამ, როცა საღამოს კოწია დაბრუნდა შინ მხიარული და ბედნიერი ქრისტინეს და ბავშის ბარგი ბარხანით, მან უზომო სიხარული იგრძნო გულში.

— არა, შენ წარმოიდგინე, ქრისტინე!—ამბობდა გაბრწყინებული კოწია.—ვაჟბატონს ჩემს ჩასვლამდი არც კი შუუტყვია შენი წამოსვლა. დღეს გათენების ხანს მევიდაო, მზარეულმა ქალმა მითხრა, და ეძინა. როიცხა ადგა და უთხრეს, დამიძახა, გამიცინა, ბეჭებზე ხელი დამკრა და მითხრა: „ბალანაი იყოს თქვენთან ჯერ-ჯერობით, ფულს თითო თუმანს გამოგიგზანი თვეშიო, ბალანაი შემოდგომაზე ეგება წევიყვანოვო“. ერთი სიტყვით მოგვწერს ყორიფელს. ხუთი მანეთი ქე მაჩუქა მეც.—მან ჩამოიხსნა წელზე ჩამოკიდებული ძაფზე აცმული ბუბლიკები, გამოაძრო ერთი, მიაწოდა ქორქეტას და ალერსიანათ უთხრა:

— აჰა, ჩეჩეტა შენ.

— ეე ბალანაის სახელი რომ ვერ ისწავლე ამდენ ხანს, ჩორჩეტაი ჰქვია, ჩორჩეტაი,—გაუსწორა მზეხამ.

კოწიამ მხიარულათ გაიცინა და შეხედა სიყვარულით ცოლს.

„აჰა, ვერ ვეტყვი, არ შემიძლია ახლა, მერმე როისმე, ხვალ, ზეგ, რა საჭიროა!“ იფიქრა ქრისტინემ და შეხედა ქმარს სიყვარულით მადლიერის თვალებით. „რა კაი გულისაა, პატივში რომ იყოს ლამაზი იქნება“. იფიქრა მან და დაიწყო თავის ბარგის გარჩევა.

—

გავიდა წელიწად ნახევარი. იდგა დამლევი გიორგობისთვის ბურუსიანი წვიმიანი ცივი დღე. კოწია, მზეხა და ქრისტინე ისხდენ ძველ სახლში შუაზე გაჩაღებული ცეცხლის პირას. სახლის წინ ჰიშკრისაკენ გაღებულ ზენა კარში მოჩანდა ორთვალი ახალი ოდა, რომლის აშენებაზე დასჭირდათ ის მეორე ახალი სახლი, სადაც ჩვენ პირველათ ვნახეთ ქრისტინე, კოწია და მზეხა, და რომელშიდაც ისინი ნასადილეობით და საძილოთ სცხოვრობდენ, სადდილ, ვახშამს, როგორც ეხლა მაშინაც ამ პატარა ძველ სახლში აკეთებდნენ. კოწიას მუხლებზე უჯდა რვა-ცხრა თვის პატარა ლურჯ თვალებიანი ბავში და ეალერსებოდა.

— რა ბიჭია, რა ბიჭია ჩემი ნიკო[illegible]—თქვა მხიარულათ კოწიამ და ასწია ხელში წითელ პერანგა ბავში.

— რა ქარია ფუტმა დამიფსო თვალები, ველარაფერს ვერ ვხედავ, დავბერდი, ნენავ, დავბერდი.—თქვა მზეხამ. გაასწორა თავის საქსოვ წინდაში წინდის ჩხირები, დაიდვა გვერდით გრძელ ჯორკოზე, ამოიწმინდა აცრემლებული თვალები და გაუწოდა ხელები შვილიშვილს.

— მოი, ჩემო ბებიავ, ჩემთან, მოდი, ჩემო ნენავ?

— არა, ქრისტინესკენ იწევს,—თქვა სიცილით კოწიამ და მიუშვირა ცოლს გაცინებული მსუქანი ბავში, რომელიც ორივე ხელებით იწევდა დედისაკენ.

ქრისტინემ ოდნავ ამოიოხრა და ადგა.

— არ მცალია, ვახშამი უნდა მევიკითხო,—თქვა მან.

— ოდაში დაანთე ცეცხლი და დაწევით აწე შით.—უთხრა მას მზეხამ:—დაზამთრდა აგია და რაღას უცდით?

— შენ თუ დაწობი, ბატონო, კი დავანთებ,—მიუგო მან დედამთილს.

— აჰ, მე არა, მე არა ნენავ, ოდაში რა მინდა, აქანაი მირჩონია, რა მეოდება—გაიცინა მან.

— აბა ჩვენც აქანაი გვირჩონია და რაღაიზა დავანთო? შეხედა მან ქმარს. ამოიწია კაბის კალთები, გაიმაგრა წელში, აიღო თუნგები და გავიდა გარეთ წყლის მოსატანათ. მზეხამ და კოწიამ გააყოლეს მას თვალები.

— არ უყვარს ქრისტინეს ოდა,—თქვა მზეხამ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ოდა ოდაა და მაროიეს სიკვდილის მერმე, აღარც აი ბალანაი უყვარს, ატყობ? ამოიოხრა კოწიამ.

— ნათვალევია, ნათვალევი, უმისობა არ იქნება. თვარა რაფერ დეილია აი მამალ მგელსავით ქალი, ხედავ, მარა მარჩიელთან რომ არ მომყობა, რა ვქნა?—მიუგო მზეხამ.

კოწიაც და მზეხაც მართალი იყვენ იმაში, რომ ქრისტინეს არ უყვარდა ბავში და იმაშიც, რომ ის ამ წლი-ნახევრის განმავლობაში ერთობ „დეილია“, გახდა, მაგრამ „მაროიე“ აქ არაფერ შუაში იყო. მას სტანჯავდა ის, რომ ბავში იმ „საშინელ“ ღამიდან სწორედ ცხრა თვეზე დაიბადა და კიდევ ის, რომ ამ წლი-ნახევრის განმავლობაში მუდამ იმაზე ფიქრობდა, რომ ეთქვა ქმრისთვის ყველაფერი, მაგრამ ჯერ აქამდის ვერ უთხრა და გრძნობდა, რომ მომავალში კიდევ უფრო გაუჭირდება გამხელა. „ახ აგი ოდა, აგი ოდა! ჩემი სულის ხორცმეტია, ჩემი სულის წიტია“. იფიქრა მან, როცა გამოვიდა გარეთ და შეხედა ოდას.

ნინო ნაკაშიძისა.

* * *

ვნახე აჩრდილი კაცისა—
ძვალ-ტყავი, ჩონჩხათ ქცეული,
სხვისთვის ოფლისა დენაში
სიცოცხლე გამოლეული!—
ფერი მიხდოდა უბედურს,
დალურჯებოდა სხეული,
ზედ ადგა ჩრდილი სამარის,
მისგანვე გამოწვეული;
ღრმათ ჩასცვივნოდა თვალები—
მისი ცხოვრების რვეული,

თავქვე დახრილი ვიდოდა
უტოლ-უსწორო, ეული...
მწარეთ ჩაღრღნოდა კისერი
უდიერ ჭაპან-წყვეტითა,
სხვა დადიოდა მისგან ქმნილ
ცხოვრების „ნათლის სვეტითა“...
ბრბო კი ამბობდა: „ტიალო,
თავბრუ დასხმულო რეტითა,
სულელი იყავ, მისთვის ხვალ
უკულმა მბრუნავ ბედითა,
ახია შენზე, მაგ ჭკუამ
მასე რომ გაგაბედითა!..“
მწყრალათ შეხედა იმან ბრბოს
და ზიზღით მეტის-მეტითა...
ეჰ, ძმაო, ბედით ჩაგრულო,
მრავალი ოფლი გდენია,—
ცა საბნათ, მიწა ლეიბათ
სანაცვლოთ შეგიძენია!..
ერთი რამ განძი ძვირფასი—
ამაყი გული გშთენია...
ზიზღსა გგვრის მხოლოდ ბრბოს სიტყვა,
თუმც ძნელი დასათმენია!
გულ-ქვაა, გულ-ქვა, ძმაო, ის,
გულ-შავი, კბილთა მჩენია...
შენს მწარე ხვედრზე მისი ხმა
მწარევე განაჩენია!...

დ. თომაშვილი.

V ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან

(საუბარი მკითხველთან)

I

ს ა ქ ო ნ ე ლ ი

პოლიტიკურ ეკონომიის თავი-და-თავი მიზანი არის გამოიკვლიოს ის პირობები, რომელშიც თანამედროვე ცხოვრება ვითარება, ხოლო თანამედროვ ცხოვრების დამახასიათებელ თვისებათ საქონლის წარმოება უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, ცხადია, ეკონომისტმა უპირველეს ყოვლისა ეს ძარღვი უნდა გამოიკვლიოს, საქონლის ხასიათი უნდა გაიგოს, მისი გაჩენა-ვითარება გამოირკვიოს. ამიტომ ჩვენც ამით უნდა დავიწყოთ, მკითხველო, ჩვენი საუბარი.

საქონელი!.. ვის არ გაუგონია ეს სიტყვა, რამდენჯერ ალბათ შენ თვითონ გითქვამს, ჩემო მკითხველო, მაგრამ შეიძლება ერთხელაც არ დაკითხებიხარ შენს თავს: რა არის საქონელი, როგორ ჩნდება იგი ქვეყნათ და ვინ არის მისი გამჩენი?! თუ არ შეკითხებიხარ ერთათ შევეკითხოთ და ჩემმა საუბარმა და შენმა ყურადღებამ შეიძლება ამ კითხვებზე პასუხი გამოგვირკვიოს. მაშ პირდაპირ საქმეს შევუდგეთ.

ისეთ ნივთს, საგანს, რომელიც ადამიანისათვის გამოსადეგია ცხოვრებაში, ადამიანის რომელიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ერთი სიტყვით, რომელსაც ადამიანი რამეთ მოიხმარს, მოსახმარი ღირებულება აქვს. მაგ. პური, წყალი, სკამი, შალი, დარაია—ამათ ყველას მოსახმარი ღირებულება აქვს, რადგან ეს საგნები მოსახმარია ადამინისათვის, ზოგი აუცილებელ საჭიროებასაც შეადგენს ცხოვრებაში. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ნივთი, საგანი მოსახმარია, ძალიან სასარგებლოც, შეიძლება იგი არაფერი არ ღირდეს, ყველასათვის მუქთათ, უფასოთ ხელმისაწდომი იყოს. მაგ. ჰაერი, ურომლისოთ სიცოცხლე შეუძლებელია, წყალი მდინარეში, განა ამაში ვინმე ფულს იხდის? ჰაერის შესუნთქვის [illegible] ვინმე გეუბნებათ: თქვენ ამდენი და ამდენი ჰაერი [illegible] და ამდენი და ამდენი უნდა გადაიხადოთო?! არა. იმიტომ რომ ის არავის საკუთრებას არ შეადგენს, ის არავის გაუკეთებია, რომ შეეძლოს სთქვას: ეს ჩემი გაკეთებულია და ვერ დაგანებებთ. მდინარესთან რომ ყოფილხართ, განა ვისმესთვის გითხოვიათ: მომეცი ნება წყალი დავლიოვო?! მხოლოდ იმავე მდინარის წყალი, რომელიც წყლის მზიდველს შენთვის სახლში მოუტანია, ფულათ ღირს, მასში ფასი მიგიცია. რატომ? იმიტომ რომ წყალი, რომელიც მდინარეში მუქთათ გეშოვებოდა, წყლის მზიდველმა რაოდენიმე მანძილზე გამოატარა და შინ მოგიტანა. წყლის მზიდველს უშრომნია და ამ შრომისათვის მას ფულს აძლევ. მაშასადამე ნივთს, საგანს, რომ ფასი მიეცეს, რამე ეღიროს, მაზე ადამიანის შრომა უნდა იყოს დახარჯული; ბუნების სიმდიდრე ხელშეუხებლათ, შრომის დაუხარჯავათ, არაფრათ არ ღირს, რადგან ის ყველასათვის ერთნაირათ ხელმისაწდომია. მხოლოთ ისიც შესაძლებელია, მოსახმარი ღირებულება ე. ი. გამოსადეგი ნივთი შრომის ნაყოფი იყოს, იგი ადამიანის ხელით იყოს გაკეთებული, ხოლო ნაყიდი არ იყოს. ძველათ საქართველოში, როცა ბატონყმობა იყო, საჭირო ნივთების შესაძენათ ჩვენს ბატონს ფული არა სჭიროდა. ჭადი, პური, ღვინო, შალი, დარაია, წუღა-მესტები, ფაფანაკი და სხვა ოჯახის საჭიროებანი თვით ოჯახშივე კეთდებოდა ყმების შემწეობით; ყმები-ბატონის საკუთრება იყო და შრომის ფასათ ყმისათვის ისიც დიდ ჯილდოთ ჩაითვლებოდა, თუ ბატონი ყმას მოწყალე თვალით შეხედავდა, ნაშრომს არ დაუწუნებდა და „ბატონის მათრახს“ რამოდენიმე ხნით მაინც გადაურჩებოდა. ასე იყო ძველათ, „დალოცვილ დროში“. მაგრამ დროთა ბრუნვამ ბატონებიც შეაბრუნა, ყმები ჩამოაცალა, საჭიროება გაუორკეცა; თავის მამულ-დედულით და „ბიჭებით“ გადიდებული ახალ მოთხოვნილებას ვეღარ იკმაყოფილებდა და საჭირო შეიქნა მისი ოჯახიდან გადაღმა გადაბრძანება. ქალაქებში რაღაც დიდი ზრიალ-ტრიალი გაჩენილიყო, „ახალ-მოდის“ ფარჩეულობა მაღაზიების ფანჯრებიდან თვალებს უბრჭყვიალებდა რეტ დასხულ ვაჟბატონს; მან გაისვა ჯიბეს ხელი, აქაო და ამ ვიღაც მოთრეულ ტიკიტომრაებს არ ჩამოვუარდეო, გაყიდული მამულიდან აღებული ბრჭყვიალა ოქრო მედიდურათ გადაუგდო „მედუქნეს“ და საჩოხე შალი წამოიღო. „დახე ამ ჩვენს ქვეყანას, როგორ გამოცვლილა!“ წინეთ სახლში მუქთათ უმზადებდენ, დღეს კი გარეთ ფულს ახდევინებენ. მერე იცით ვინ არის ეს „მედუქნე“? ეს ის ივანიკაა, რომლის დედა ბატონს კაი-კაი საჩოხე შალებს უკეთებდა, დღეს ეს ივანიკა იმნაირ შალში იმავე ბატონის შვილს ფულს ახდევინებს. წინეთ თუ ივანიკას ოჯახში შალს აკეთებდენ იმიტომ, რომ ბატონისათვის „სასახლეში“ საჩოხეთ მიერთმიათ, დღეს აკეთებენ ბაზარში გამოსატანათ, გასაყიდათ. ამ შალს წინეთაც და ახლაც მოსახმარი ღირებულება ჰქონდა და აქვს ე. ი. იგი ადამიანისათვის გამოსადეგი იყო და არის, მხოლოდ ეხლა კიდევ რაღაც ახალი თვისება შეუძენია. რა თვისებაა ეს თვისება, ან როგორ შეიძინა იყი? რისთვის ჩამოუტანიათ ქალაქში შალი? სხვა რამეზე გასაცვლელათ. მაშასადამე დღემდე თუ ბატონის ანუ თავის ოჯახის სახმარებლათ აკეთებდენ, დღეს ოჯახს გადაღმა გასაცვლელათ მზადდება და მისი პირადათ მოხმარება სრულიად მხედველობაში არა აქვს მის პატრონს. დღემდე პატრონისთვის საინტერესო იყო შალის მხოლოდ მოსახმარი ღირსება ე. ი. რამდენათ კარგათ, გამოსადეგათ იყო იგი გაკეთებული, დღეს კი მას იგი იმდენათ ეპიტნავება, რამდენათ ეს

სხვისთვის საჭიროა, გასაცვლელათ აუცილებელია. დღეიდგან მისი შალი ისეთ ნივთათ გადაიქცა, რომელიც გასაცვლელათ არის დამზადებული; ასეთ ნივთს ქვია საქონელი. სანამ პატრონი თავის პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ამზადებდა შალს და თვითვე გაიხმარდა, ეს შალი საქონელი იყო, მხოლოდ როცა დანიშნულება შეუცვალა და ბაზრისკენ აქნევინა თავი გასაცვლელათ, შალი საქონლათ გადაიქცა. ამ ნაირათ საქონელი არის ისეთი ნივთი, რომელიც გასაცვლელათ არის დამზადებული. ეხლა, მკითხველო, ჩვენ ვიცით რა არის საქონელი და ჩვენთვის ეხლა ისიც ცხადია, რომ შესაძლებელი ყოფილა ნივთს მოსახმარი ღირებულება ჰქონდეს, ხოლო საქონელი კი არ იყოს; ისეთი საქონელი კი, რომელსაც მოსახმარი ღირებულება არა აქვს, წარმოუდგენელია, შეუძლებელია. საქონელი ხომ უნდა გასაღდეს; აბა ვინ იქნება ისეთი ხეპრე, რომელიც მოისურვებს გამოუდეგარი, სახმარათ უვარგისი ნივთის შეძენას: შეიძლება ასეთი გიჟი მოიპოვებოდეს, მხოლოდ საქონლის გაკეთება იმ მოსაზრებით, რომ გიჟებთან გვასაღებო, ვერ არის რიგიანი ანგარიში და ცხოვრებაში ასე არ ხდება. ამიტომ საქონელს უთუოთ უნდა ქონდეს მოსახმარი ღირებულება. მაშ რა ახალი თვისება ემატება ნივთს გარდა იმისა, რომ იგი გასაცვლელათ მზადდება? არაფერი, მხოლოდ ამ ახალ დანიშნულებაშია მისი განმსხვავებელი თვისებაც; შევდგეთ აქ და გამოვარკვიოთ. რა რომ მოსახმარი ღირებულება გასაცვლელათ დამზადდება ნივთს საცვლელი ღირებულება შეეძინება; ამიტომ ყოველ საქონელს საცვლელი ღირებულება აქვს. როდესაც ორი ნივთი გასაცვლელათ გამოაქვთ, მათი პატრონები ერთმანეთის ნივთს ათვალთვალებენ, ანგარიშობენ, ადარებენ ერთი მეორეს და მერმე სცვლიან: ამდენათ ღირს ჩემი ნივთი და ამდენათ შენიო, ეუბნებიან ისინი ერთმანეთს. რით ხელმძღვანელობენ ამ ანგარიშის დროს? საჭიროებითო, შეიძლება მიპასუხო, ჩემო მკითხველო. ვის რა უფრო ჭირია, მისთვის ის ნივთი უფრო ძვირათ ღირსო, განმარტავ შენ. მე ვერ ვეთანხმები შენს აზრს და აი რატომ: ყველასათვის პური უფრო საჭიროა ოქროს საათზე, მაგრამ ვინ იქნება ისეთი გულ-უბრყვილო ერთ ბათმან პურში ას მანეთიანი საათი გასცვალოს; პურიც იმდენი უნდა იყოს, რომ ას მანეთათ ღირდეს და მით საათის ღირებულებას შეეფერებოდეს. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ რით განიზომება პურისა და საათის ღირებულება, რით ხელმძღვანელობენ ცვლის დროს მათი პატრონები. როგორც მოსახმარი ღირებულების ღვინისა და ჩექმის, კიტრისა და ქუდის შედარება შეუძლებელია; მათ არაფერი საერთო არა აქვთ. მხოლოდ ამისთანა საგნების ერთმანეთზე გაცვლა შეიძლება, მათი როგორც საცვლელი ღირებულების შედარება და ხდება კიდეც ასეთი შედარება. მკითხველო, ჩვენ თამამათ შეგვიძლია აქიდან დავასკვნათ, რომ ამ ნივთების საცვლელ ღირებულებას საერთო, შესადარებელი რამ ჰქონიათ. რა არის ეს საერთო? რა აქვს საერთო საჩოხე შალს, ჩექმებს და საათს გარდა იმისა, რომ ესენი ყველა მოსახმარია ადამიანისათვის? მათ აქვთ ერთი საერთო თვისება— ყველა ისინი ადამიანის შრომის ნაყოფია, ადამიანის გაკეთებულია. ეს საზოგადო ადამიანის შრომა, უბრალო ფიზიოლოგიური პროცესი, რომელსაც შეუქმნია სხვა-და-სხვა საქონლები, არის მათი საერთო თვისება, მათი შემადარებელი საბუთი. მოსახმარ ღირებულებას მიტომ შეუძლია საცვლელ ღირებულებათ გახდეს ე. ი. საქონლათ იქცეს, რომ იგი არის ადამიანის შრომის ნაყოფი და ამ სახით ერთს საქონელს მეორეს დაუპირდაპირებენ.

უეჭველია ამ შრომის რაოდენობაა გაცვლის დროს პატრონისთვის ანგარიშის დროს სახელმძღვანელო. რამდენი შრომა დაიხარჯა ჩემს საქონელში—ამდენი; მის საქონელში კი ამდენიო, ამბობს ის. რით გაიზომება თუ რამდენი შრომაა დახარჯული ამა და ამ საქონლის გაკეთებაშიო, ეხლა რომ გკითხოს, მკითხველო, ვინმემ, შენ დაუყოვნებლივ უპასუხებ: იმ დროით რომელიც ამ საქონლის გაკეთებამ მოინდომა... დრო კი წლობით, თვით, საათით, წამით, წუთით განიზომება. მაშ რომელ საქონელსაც მეტი დრო მონდომია მუშაობის დროს, იმ საქონლის საცვლელი ღირებულებაც, ფასიც მეტი იქნება, უეჭველია. მაგრამ ეხლავე გატყობ, მკითხველო, რომ ენაზე ერთი შენიშვნა გადგია. შენი სიტყვითო, მეუბნები შენ, ზარმაცის გაკეთებული საქონელი უფრო მეტი ეღირება, რადგან ზარმაცი მეტ ხანს მოანდომებს მუშაობას, ვიდრე საჭიროა. სხვა რომ ერთ საათში გააკეთებს ის ორ საათს მოანდომებს.

მასე თუა ყველა გაზარმაცდება იმ მოსაზრებით, რომ ძალ დაუტანებლათ ხან გამოშვებით ვიმუშავებ, მეტსაც ავიღებ და ნაკლებათაც დავიღალებიო. არა, მეგობარო, შენი შენიშვნა უმართლოა. შენს საპასუხოთ აი რა მაქვს მე სათქმელი: ზარმაცმა რომ ხუთი დღის მუშაობა მოანდომოს იმას, რაც მეორეს ერთ დღეს გაუკეთებია და მისდა შესადარათ ხუთი მანეთი მოგვთხოვოს საქონელში, უეჭველია შენ მისგან საქონელს არ იყიდი და მიმართავ იმას, ვისაც იმნაირათვე საქონელი ერთ დღეს გაუკეთებია და ამიტომ ხუთჯერ ნაკლებს გამოგართმევს ე. ი. ერთ მანეთს. მაშასადამე ამ საქონლის ფასი იქნება ერთი მანეთი და არა ხუთი. რომ შეიძლებოდეს იმავე საქონლის ნახევარ დღეში გაკეთება, მაშინ კიდევ უფრო ნაკლები ეღირება—ათი შაური. ამნაირათ საქონლის ღირებულების რაოდენობა დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ამა და ამ დროს ამა და ამ საზოგადოებაში ამ საქონლის გასაკეთებლათ. ამის და მიხედვით საცვლელმა ღირებულებამ შეიძლება დაიკლოს, თუ საქონლის გაკეთებას ნაკლები სამუშაო დრო უნდება და მოიმატოს, თუ მის გაკეთებას მეტი შრომის დახარჯვა სჭირდება. გავიმეოროთ მოკლეთ:

ყოველ ნივთს, რომელიც მოსახმარათ გამოდგება აქვს მოსახმარი ღირებულება; ასეთი მოსახმარი ნივთი, რომელიც გასაცვლელათ მზადდება არის საქონელი; ამიტომ ყოველ საქონელს აქვს საცვლელი ღირებულება. საცვლელი ღირებულების წყარო არის ადამიანის შომა. ღირებულება განიზომება ამ შრომის რაოდენობით. ეხლა ჩვენ შეგვიძლია შემდეგისთვის გავითვალისწინოთ საქონლის გაცვლა-გამოცვლის პროცესიც.

ა. წულუკიძე.

ჩვენებური უკუღმართობა

ვიღაც მწირს მესამოცეთაგანს მოსვენებას არ აძლევს ერთგვარი მიმართულება, რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევი გავლენა მოიპოვა როგორც მწერლობაში, ისე ცხოვრებაშიაც. ამას წინეთ ამ ვაჟბატონმა დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (იხ. № 184) ერთი დიდი წერილი, სათაურით: „ანბანური ჭეშმარიტება“, რომელიც სავსეა ლოღიკური ნახტომებით, თავისი თავის ქებით და „ჩვენებურ მარქსელების“ ლანძღვა-თრევით და ცილისწამებით.

ამ ბოლო დროს ჩვენ ერთობ დავეჩვიეთ მეტათ უდიერ მოქცევას ზოგიერთ უნიჭო მწერალთაგან, და ამიტომ ბ-ნ მწირ-მესამოცეთაგანის ლანძღვა-გინებას ჩვენ სულ უყურადღებოთ დავტოვებდით, მაგრამ აქ არის ორი ისეთი გარემოება, რომელმაც კალამი აგვაღებინა ხელში საპასუხოთ. ერთი ისა, რომ ბ. მწირი-მესამცეთაგანი ლაპარაკობს იმნაირი კილოთი, რომ იგი დიდი ხნის დამსახურებული და ღვაწლმოსილი პირი უნდა იყოს ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში, ასე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს სამსახურის დროს „მის თავზე წისქვილის ქვაც კი დატრიალებულა“, თორემ სხვა განსაცდელს ვინღა ამბობს. ასეთი ღვაწლ-მოსილი გვამი, რომელიც ერთ დროს „ელვა-ჰექვას არ შეშინებია და გრიგალ-ქარიშხალს არ გაქცევია“, დღეს თურმე შევიწროებულია ზოგიერთ ახალგაზდათა მოქმედების წყალობით, და ეს შევიწროება იმ ზომამდე მისულა, რომ მხცოვან მოღვაწეს თურმე აღარც საფასი აქვს აღარც საფარი და აღარც იარაღი, რომ თავის გულისნადები წარმოთქვას, და იძულებული გამხდარა „იგავებათ გვიგოს ხოლმე პასუხი“. როგორც ხედავთ მდგომარეობა მეტათ საბრალოა და ღირსი თანაგრძნობისა. თავიანთ გაბედული მოქმედებით ახალგაზდა მოღვაწეთ ნამდვილი შიშის ზარი დაუცით ბ-ნ მწირი-მესამოცეთაგანისთვის, მაგრამ ამ დროს მას გაუხსენებია ძველი „საქმენი საგმირონი“ და გადაუწყვეტია: „შიშით ვერც ჩვენ ჩავიგუბებთ პირში წყალს და ვიტყვით, რამდენათაც კი მოსახერხებელია თქმაო“. მეორე გარემოება, რომელმაც ჩვენ კალამი აგვაღებია ხელში ბ. მწირის საწინააღმდეგოთ ის არის, რომ შემპარავი ძაღლი უფრო საშიშია, ვინემ ის, რომელიც ყეფით და ხმაურობით მოგაშურებთ. ბ. მწირი-მესამოცეთაგანიც ისე გვაჩვენებს თავს, რომ იგი ვითომც დიდი მოსარჩლეა დაჩაგრულ ხალხის და თითქმის მეგობარიც მის მიერ ათვალწუნებული პირების, რომელთაც „ბევრი სიმართლე უპირავთ ხელში“; მას სურს ვითომ მათი დარიგება და უფრო სწორ გზაზე დაყენება. მაგრამ ჩვენ კარგათ გვესმის ბ. მწირის ხერხი: თუ ენით იგი გვექალაჩუნება და გვეღლაქუცება, საქმით ორმოს გვითხრის. ეს გვსურს ჩვენ ვაცოდინოთ ქალაჩუნობით და შემპარაობით მოლაპარაკეს.

რაც შეეხება თვით წერილს ჩვენ სწორეთ გვეძნელება იმაზე პასუხის გაცემა, რადგანაც იგი თავიდან ბოლომდე იგავ-არაკებით არის გავსებული, და არც იცი რომელ ერთს გასცე პასუხი. გარდა ამისა ავტორი, ვინ იცის, რას არ ეხება ამ ერთ წერილში: ბერძნების სიბრძნე გინდათ, თუ თვით ავტორის და მესამოცე წლების მოღვაწეთა ამაგი, წარსული ცხოვრება, ბანკები, მაგრამ ყველაზე უფრო კი „ჩვენებური მარქსელები“,—ერთი სიტყვით ყველაფერზე ლაპარაკი, მაგრამ ისე კი რომ ყოველსავე ამას ერთმანეთშორის არავითარი კავშირი არა აქვს და ნამდვილი ბაბილონის არევას მოგაგონებთ. ჩვენის აზრით ყველაზე უფრო ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ის გარემოება, რომ ბ. მწირი მესამოცეთაგანი გატაცებულია თავისი წარსული ღვაწლით და ამაგით სამშობლოს წინაშე და სწუხს იმიტომ, რომ მას ჯეროვნათ ვერ აფასებენ. ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ ბრძანდება ბ. მწირი მესამოცეთაგანი და ამიტომ არც იმის განსჯა შეგვიძლია, თუ რამდენათ მართალია მისი ასეთი შეხედულება. არც ის ვიცით, თუ რათ დაირქვა მან მწირი, როცა ასეთი სახელწოდება სრულებით არ შეეფერის მის ხასიათს. აბა ერთი გასინჯეთ, განა ეს მწირის ენაა: „ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში,—მოგვითხრობს ბ. მწირი-მესამოცეთაგანი,—ცოტა გვინახავს დარი, უფრო მეტი ავდრიანი დღე გვდგომია, მაგრამ გაგვიძლია: ელვა-ჭექვის ისე არ შევუშინებია, გრიგალ-ქარიშხალს არ გავქცევივართ და სეტყვის დროს თავი სხვაგან არსად შეგვიფარებია. ყველა აგვიტანიაო“. ან: „ვისაც არა გადახდომია-რა, ის რას დაეძებს? მაგრამ, აბა ახლა, ერთი მესამოცე წლების მოღვაწეებსაც კი ახდი... მე ვამბობ აქ იმ თითო-ოროლა ნამდვილ მშრომელებზე, რომელთაც კიდეც დაეტყოთ, რომ მათ თავზე წისქვილის ქვას უტრიალია, და არა იმ გუ-გულა მამულიშვილებზე, ჩვენს საბუდარში რომ მხოლოთ თავის გამოსაჩენათ ხანდახან უკაკანიათ და კვერცხი კი სხვის საბუდარში უდვიათო“. ამის წაკითხვაზე ვის არ გაახსენდება იგავი მეზვერეზე და ფარისეველზე: ფარისეველი იგი წარსდგა და ამას ილოცავდა თვისაგან: „გმადლობ შენ უფალო, რამეთუ მე არა ვარ ვითარცა სხვა კაცნი, მტაცებელნი, ცრუ და მემრუშე“... თუ მართლა ცრუ მწირი არ იყოს ჩვენი ავტორი, იმას უეჭველათ არ დაავიწყდებოდა სახარებისავე სიტყვები: „ნეტარ იყვენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. ყველაზე უფრო გასაკვირველი აქ ის არის, რომ ბ. მწირი-მესამოცეთაგანი დიდი მცოდნე უნდა იყვეს ხალხური ანდაზებისა, ვინაიდან მისი წერილი გავსებულია ამითი, და იმავე დროს ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ანდაზა კი დავიწყებია, სახელდობ: თავის ქება კიტრათ ღირსო. ასეთ უხერხულ და გამოუდეგარ ოინს ბ. მწირმა მიმართა ალბათ იმიტომ, რომ მკითხველებზე გავლენა მოეხდინა და მისი ნათქვამი ანბანურ ჭეშმარიტებათ მიეღოთ: აი, მე ვინა ვარ, აი, მე რა განსაცდელი ამიტანია სამშობლოს გულისათვის, რა ღვაწლი მიმიძღვის მის წინაშეო; უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ამიტომ ჩემი ნათქვამი დაიჯერეთო. მაგრამ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს, დღეს საზოგადოებას სიტყვების სროლით ვეღარ მოატყუებ. ახლა დავანებოთ თავი ამ თავისებური მწირის ზნეობრივ ფიზიონომიას და განვიხილოთ მისი გონებრივი ავლადიდება, თუ რა ლიტერატურული საგძალით გამოდის იგი დღეს მწერლობის ასპარეზზე. ბ. მწირი ასე იწყებს თავის წერილს:

„ბერძნების წარმოდგენით, სიბრძნე იყო დედა, რომელსაც ეყოლა სამი ასული: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. უამათოთ, ამათ დაუხმარებლათ ქვეყნიური შვება-ბედნიერება შეუძლებელი იყო და ამიტომაც ყველა მათკენ მიისწრაფოდა... ერთ დროს, ოდესმე ქართველებსაც ჰქონდათ ეს სიბრძნე ეროვნულათ შესისხლხორცებული, მაგრამ დღეს კი, როდესაც ზედა-პირი სარჩულათ მოგვექცა და სარჩული გაგვიზედაპირდა, ბერძნებისაგან ჩვენ მიერ მიღებული ალეგორიაც გადაგვიტრუკულმართდა: სიბრძნის ადგილი უმეცრებამ დაიჭირა და წარმოშობა, უსასოება და სიძულვილიო“.

ამ ნაირათ ბ. მწირი-მესამოცეთაგანი ამტკიცებს: ძველ დროში ხალხთა შორის გამეფებულ იყო სიბრძნე, ე. ი. სარწმუნოება, სასოება და სიყვარული; დღეს კი სიბრძნის ადგილი დაიჭირა უმეცრებამ, რომელმაც წარმოშობა: ურწმუნოება, უსასოება და სიძულვილი, ე. ი. დღეს სიბრძნის მაგივრათ უმეცრებაა, სარწმუნოების მაგივრათ—ურწმუნოება, სასოების მაგივრათ—უსასოება და უიმედობა და სიყვარულის მაგივრათ—სიძულვილი. აქედან თავის თავათ იგულისხმება ასეთი დასკვნა: ძველი დრო ბევრათ მაღლა იდგა ახლანდელზე. ეს არის ბ. მწირის მთელი ფილოსოფიის ქვაკუთხედი; ამას იგი ვერასოდეს ვერ გასცილებია და ვერც გასცილდება. სამწუხაროთ, ასეთი შეხედულება მოკლებულია ყოველგვარ გონივრულ მოსაზრებას, ისტორიას რომ თავი დავანებოთ. და მართლაც რომელი ქუჩაში მყოფელი ადამიანი იტყვის დღეს, რომ უწინდელ დროში ხალხთა შორის დამკვიდრებული იყო სიბრძნე, ე. ი. სიყვარული და სასოება, დღეს კი ამის ადგილი დაიჭირა უმეცრებამ, უიმედობამ და სიძულვილმა. ისტორია ხომ ასეთ შეხედულებას სავსებით უარყოფს. შეიძლება ბ. მწირმა (სიტყვის შესამოკლებლათ ვუწოდოთ ჩვენს ავტორს მარტო მწირი) ჩვენ გვისაყვედუროს, რომ ვითომც ჩვენ ვერ გავიგეთ მისი სიტყვები, ვინაიდან იგი ალეგორიით, იგავებით, ლაპარაკობს ხოლმე; შეიძლება ამასთანავე მან აგვიხსნას, რომ მას აქ მხედველობაში მხოლოთ საქართველო აქვს, მარტო ქართველი ხალხი. მაგრამ ამას სულ არ ამართლებს ჩვენი წარსული ცხოვრება. განა ჩვენი ხალხი დღეს უმეცარია და ძველათ ბრძენი და მეცნიერი იყო? განა ჩვენში წინეთ მარტო სიყვარულს ჰქონდა ადგილი და დღეს კი მხოლოთ სი-

ძულვილს ვხედავთ გამეფებულს? აიღეთ და წაიკითხეთ ჩვენი ისტორია, გაეცანით „ქართლის ცხოვრებას“, უძველეს წყაროს ჩვენი წარსული ცხოვრებისას და თქვენ ნათლათ დაინახავთ, თუ რა უმეცარი იყო ძველათ ჩვენი ხალხი, თუ რა გაუთავებელ და შეუწყვეტელ შფოთს და სიძულვილს ჰქონდა ალაგი მასში. მაგრამ ამისთვის რა საჭიროა შორს წასვლა, როცა თვით ბ. მწირი აი რას ამბობს თავისავე წერილში, „ციხე შიგნიდან გატყდებაო, საქართველოც გვართა ბრძოლამ დაამხო“... საქართველოს გმირები მტერს უფრო გამოადგებოდენ ხიდმე, ვიდრე მოყვარეს... ისინი პირიქით მირბოდენ მტრის მოსაყვანათ: „ეიშველეთ, პირადათ ნუ გვაქმევთ სირცხვილს და ჩემს სამწყსოს გინდ მუსრი გაავლეთო“. რა იყო ამის მიზეზი?—კითხულობს ბ. მწირი და თითონვე იძლევა პასუხს: „გვართა ბრძოლის გამომწვევი შური და სიხარბეო?“*) ნუ თუ ეს სიბრძნის, სიყვარულის და სასოების ნიშანია, რომლებიც „ერთ დროს ეროვნულათ შესისხლ-ხორცებული ჰქონდათ ქართველებს“ ბ. მწირის სიტყვით? რით აიხსნება ასეთი აშკარა ლოღიკური წინააღმდეგობა ბ. მწირის მსჯელობაში? ჩვენის აზრით, ასეთი ლოღიკური ნახტომის ასაცდენათ არ იყო საჭირო არც დიდი ცოდნა, და არც დიდი სიბრძნე; ამისთვის კმაროდა მხოლოთ საღი გონება და დალაგებით მოფიქრება. სამწუხაროა, როცა ასეთი ადამიანი მეთაურობას კისრულობს, ხალხის მასწავლებლათ გამოდის, სხვებს წამებს „სულწასულობას“, სხვებს უკიჟინებს „ლოღიკისა და სიმართლის მხრით წაფორხილებას“ და სხ. აქედან აშკარაა, თუ რა ღირსება და ფასი უნდა ჰქონდეს ამნაირი პუბლიცისტების აზრსა და მსჯელობას საზოგადოებისათვის.

ᲛᲐᲠᲘᲚᲐᲫᲔ.

(დასასრული იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„უმორჩილესად“ გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით მოვახსენო პატივცემულ მკითხველებს ის არა სასიამოვნო გარემოებები, რომლებიც გამოირკვა, პატივცემულ თქვენის გაზეთის კორესპონდენტის წერილის შემდეგ, (იხ. „კავკ.“ მე-23 №-ში) შესახებ სულიერ მამის საჩივრისა:

როგორც იმ კორესპონდენციიდან ვიცით, სოფ. დიცის საზოგადოების მღვდელს უწმ. სინოდის განკარგულებით 400 მან. წლიურ ჯამაგირათ დანიშვნის შემდეგ, მრევლმა უარი გამოუცხადა მათზე გაწესებულ საჯამაგირო ფულების ძღვენზე:

ძალზე ზარხოშათ მოოთი, ხელში კომბალით მიეკრებოდა სახლში რომელიმე თავის მრევლთაგანს და თუ ვერ დაეკმაყოფილებდა ფულით, ოთვეიგე სარჩო-საბადებელს თითქმის საბუდარზე მჯდომ კრუხსაც სტაცებდა**) და თუ ის კრინტს დასძრავდა მის წინააღმდეგ, მაშინ თავის დინიერი მეფავით შუბ დღეს დაუენებდა. მახლას, სულიერო მამავ,—მახლას!..

მღვდლის ასეთმა საქცელმა შეაზიზღა მრევლს თავის სულიერი მამა და მრევლმა მიმართა თხოვნით სადაც ჯერ არს, რომ კამოძიება მოეხდინათ და მისი უკუდმართობისთვის კანონიერი მსჯავრი დაედოთ... ამ გარემოებამ გაარკვია მღვდელი და ეს მრევლის დასამშვიდებლათ ადგილობრივ მოსამართლესთან უჩივლა მრევლს 1456 მან. რომელიც შეადგენს შვიდი წლის ჯამაგირს და ოან ესეც გამოაცხადა: მომისმენ, ეს—ეს ... მრევლი საჩივრები და მაშინ მეც გაპატიებენ. და მოგირიგდებით ეცირე რამეზეთ. ამ საჩივრის წარმოება მღვდელმა ერთ სომეს ... ადვოკატ ბ—ს მიანდო და ამ უკანასკნელმა, გარდა ვექილობისა, შინაურული ხელშეკრულობის წერილიც ჩამოართვა, რომლითაც მან ხელი აადებინა მას შემდეგ უფლებებზე: ეროი რომ მღვდლის სურვილისამებრ არ იქნეს დათხოვნილი ვექილობისაგან და მეორეა მისდა უნებურათ მღვდელს არავითარი უფლება არა აქვს მოიგებინოს, ან სრულებით ბატიებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მღვდელი ვალდებულია თავის ვექილ ბ—ნცს 300 მან. ჯარიმა უზღოს და სხ...

დღეს თუმც მღვდელი მზათ არის, სანამ განაჩენს გამოუცხადებდენ, მრევლს ოც თუმნათ მოურიგდეს, *) იმ პირობით, რომ მის შესახებ აღძრული საჩივრები მოუსპონ, მაგრამ ვექილი უქადის, ოცდა ათ თუმანს ჯარიმას გადაგახდევინებო. ამ ნაირათ, თავი რომ დაანებოს მრევლის საჩივრებს და ვექილიც თავიდგან მოიშორებ, მღვდელი იძულებულია მრევლისგან ასადებ ოც თუმანს მიუმატოს თავის საკუთარი ჯიბიდან კიდევ ათი თუმანიც და თავის ვექილს ხელში ჩაუყაროს. ეს ვექილი ბ—ნცი დახელოვნებულია ჯარიმის აღებაში და ისე ... შეუდგამს სასამართლოში, რომ 30 თუმანი არ აუდოს. მარა განსაკუთრებით ჯარიმების სისტემა მოსწონს. ასეთ ვექილს ჩაუყარდა თვითონ მღვდელიც ხელში. ასეა საქმის მდგომარეობა.

დამსწრე.

*) ჩვენ შევიტყეთ, რომ მრევლი თანხმდება 290 მან. გადახდას და შემდეგშიაც პირდება მღვდელს ყოველ წლიურათ აძლიოს ჯამაგირები. ერთი იმედი გვაქვს ბ-ნ ნაფიც ვექილ ვ. მაჩაბლისა, რომ ის ამ საქმეში ერთხელვე მონაწილეობის მიღების შემდეგ მომავალშიაც მიიღებს მხურვალე მონაწილეობას და საზოგადოებას ახდის ამ არა საეკლესიოს უღელს, რომელშიაც თვალ-ახვეულნი თავის-და-თავათ იბამენ თავს.— ᲐᲕᲢ.

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

**) ამავე სიტყვით ასურათებდა მოწმეთ დანიშნული ნაფიცი ვექილი ბ-ნი ვ. მაჩაბელი საქმის გარჩევის დღეს თავის ჩვენებაში დიცის მღვდლის სასტიკ და ბარბაროსულ საქციელს თავის მრევლისადმი.— საქმე გადაიდო განაჩენის გამოსაცხადებლათ.— ᲐᲕᲢ.

დრ. რედაქტორი ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ
ნ. ი ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲔᲕ-ᲛᲔᲡᲮᲘᲔᲕᲘ. ᲐᲮ. Მ. Თ.-ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

მსწრაფლ მბეჭდავი ᲡᲢᲐᲛᲑᲐ

ექვთიმე ივ. ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემენარიის სახლებში;

ღებულ ეველაანაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე უცხო ენებზედაც. სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და ბოქაულების დავთრები.

ფასი ᲔᲕᲔᲓᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲓᲛᲘᲡᲐᲬᲓᲝᲛᲘᲐ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 го Ноября 1903 г. Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ д. армянск. дух. семинаріи.